№ 2755
შაბათი,
26 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2755
შაბათი,
26 თებერვალი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გაზეთი
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ზურაბ გიორგის ძე აბდუშელიშვილი, ფარნაოზ სიმონის ძე და ნინო დიმიტრის ასული ნათიშვილები შვილებითურთ, **ზაქარია იოსების ძე და სოფიო დიმიტრის ასული მამაცაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 27 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მარიამ ფარნაოზის ასულის აბდუშელიშვილის

სულის მოსახსენებლად, და სთხოვენ მათ დაესწრნენ წირვას და მით ანუგეშონ ჭირისუფალნი. (1—1)

მიხეილის ქუჩაზე, სლივიცკის სახლში 5 მარტიდან იხსნება ნარდათ და ბოთლობით

ვაჭრობა

კახურ ღვინოებისა

გურჯაანის, ახტალის, მუკუზანის, წინანდლის თავ. გ. ა. ანდრონიკაშვილის საკუთარ ვენახებისა. (3—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

- ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
- გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
- ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
- ნ. ტ. ჟულიძი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
- ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
- დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
- ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
- ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
- ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერის სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმ
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—21)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—47)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—40).

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-[illegible] ქუჩების კუთხე, მესხიშვილის პირდაპირ № 18. (60—28—26)

ტფილისის საკომერციო ბანკის ჯავშნიან კუჭნაოში იძლევა ქირით ცალკე ყუთები. წესები ყუთებით სარგებლობისა [illegible]სურველთ შეუძლიანთ უსასყიდლოდ [illegible]ონ ბანკში. (2—6—2)

იბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„...ესეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 თებერვალი.

...ონდონი, 24 თებერვალი. იაპონელთ ...მ ლონდონში გამოაქვეყნა შემდეგი ...ში: „24 თებერვალს იაპონიის რაზმმა მ...ევინა რუსებს მადზიატუნის მიდამოებში ...ისდევს უკან შახეზე, რკინის გზის ალმო-...ლეო მიდამოებში. მთელ მიდამოებში, ...ინის გზის დასავლეთით და ხუნხეს მარ...ენა ნაპირი იაპონელებს აქვთ ხელში. ...უსებმა განიმეორეს კონტრ-იერიშები, მაგრამ იგინი მოიგერიეს და დიდი ზარალიც მისცეს. იაპონელები თანდათან უახლოვდებიან მუკდენს. ჩრდილოეთით მუკდენიდან იაპონელებმა დაიჭირეს სიაომატუნი, 6 მილის მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით მუკდენიდან, მიუხედავათ რუსების თავგამოდებულ წინააღმდეგობისა.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში შესვლა აკრძალულია, თუ კერძო პირებს ამურის გენ.-გუბერნატორის ან და ზღვის პირის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, ან კიდევ ციხის კომენდანტისაგან მოწმობა არ აქვს; სამსახურის კაცებს კი თავიანთ უფროსებისაგან უნდა ჰქონდეთ მოწმობა, რომ მათი მოსვლა ციხეში გამოწვეულია სამსახურის საქმეებით. ზემოხსენებული წესები თუ არაა შესრულებული, მაშინ ყველას სადგურზევე დააკავებენ.

გროდნა, 24 თებერვალი. 21 თებერვალს რევოლვერით მოჰკლეს ქალაქ ბელოსტოკში მაზრის ისპრავნიკი ელჩინი. მკვლელი დაიმალა.

მილანი. იტალიისა და ავსტრიის კონსულებს აგაზაკები დაეცნენ და გაძარცვეს. გვატყობინებენ, რომ სან-მარკში სისხლის ღვრა მოხდა გლეხებსა და ჯარს შორის. გლეხები ითხოვდნენ აქციზის გაუქმებას. ჯარი იძულებული გახდა ესროლნა გლეხთათვის.

პარიჟი. დეპუტატ-სოციალისტმა პრესანსემ განუცხადა დელკასეს, რომ მას სურს აძრას საკითხი ჩინეთის ნეიტრალიტეტის შესახებ. რადგანაც ბალტიის ესკადრა მადაგასკართან დგას, ამიტომ საჭიროა, რომ საფრანგეთმა დაამტკიცოს, როგორც პრინციპით, ისე საქმით, რომ ის პატივს სცემს იმ ვალდებულებას, რომელიც მას დაადვა ნეიტრალიტეტმა. საჭიროა. საფრანგეთმა არ ჩაიდინოს ისეთი საქმე, რომელსაც ცუდათ გაიგებენ და საფრთხეს მოახვევენ საფრანგეთს თავზე. საფრანგეთი უნდა გაუფრთხილდეს იმ საფრთხეს, რომელიც შეუძლია მას მოახვიოს თავზე მადაგასკართან მოსალოდნელ საზღვაო ბრძოლამ. თუ ეს მოხდა, საფრანგეთს არავითარი საშუალება არ ექნება განაცხადოს ჯეროვანი პროტესტით.

კიევი. ხმოსანთა ჯგუფმა სთხოვა ქალაქის თავს, შეიტანოს განსახილველად კითხვა, ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან იმის შესახებ, თუ როგორ მოწესრიგდეს სახელმწიფოს მთელ-მოშენებისა და ხალხის კეთილდღეობის საქმეები. ამავე კომისიამ უნდა შეიმუშაოს, რა პირობებში უნდა ჩადგეს საქალაქო საქმეები და აგრეთვე საკითხი წარმომადგენლების შესახებ საკანონმდებლო კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

ბერლინი. ლანდტაგში შეიტანეს პროექტი, ახალ სამთო კანონის შესახებ. ყველაზე საინტერესოა სანიტარული საქმისა, 8½ საათის სამუშაო დროის დაწესების და მაღაროებში მუშების ჩასაშვებ დროის შესახებ პროექტი. მაღაროების პატრონნი უკმაყოფილო დარჩნენ.

ლოძი. გუშინ საღამოს პოსტზე მოჰკლეს გოროდოვოი სომეცი. მკვლელი მიიმალა.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი სამსახურის ორი წლის ვადის შესახებ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 თებერვალი.

მუკდენი, 23 თებერვალი. სამი დღეა ბრძოლაა მუკდენის დასავლეთით. ჩვენი ჯარი იწევს უკან შახეს პოზიციებიდან და თავს იყრის მუკდენთან ახლო, რათა პირდაპირ შეხვდეს მუკდენისაკენ მიმავალ იაპონელებს. მუკდენის ჩრდილოეთით იაპონელები ილაშქრებენ უნპუნტუნისაკენ და სამი ვერსტით უახლოვდებიან რკინის გზას. მათი ყუმბარები რკინის გზამდე აღწევენ.

მუკდენი, 24 თებერვალი. ღამის ორის ნახევარი საათი. დილით ბრძოლა საიმპერატორო სასაფლაოების ჩრდილო-დასავლეთით იყო, სოფ. პადიაზასთან. ჩვენი მოწინავე რაზმი გაშორდა სოფელს. იაპონელები იერიშით მივიდნენ სანტაიცზე, საიმპერატორო სასაფლაოების ჩრდილოეთით. დილით ბრძოლა არ შეწყვეტილა. იაპონიის მოწინავე რაზმები ხუანშანამდე მივიდნენ.

ჩიტა, 24 თებერვალი. ექიმებს სხდომა ჰქონდათ, რადგანაც ხარბინიდან საჩქაროთ მოითხოვეს ლაზარეთში გაამზადონ ავადმყოფთათვის ადგილები. კიევის ლაზარეთმა 30 ადგილი მოუმატა ოფიცერთათვის, სხვებმა გადასწყვიტეს მიიღონ ყოველ ოთხ დღეს 30 პროცენტი იმ რიცხვისა, რა რიცხვიც შეიძლება მთლად მოთავსდეს ლაზარეთში. აქ მოელიან ძლიერ ბევრს დაჭრილებს უკანასკნელს ბრძოლაში.

გენ.-ოკუს არმია. იაპონიის მარცხენა ფრთის მარცხენა კალონას ცხარე ბრძოლა ჰქონდა რუსებთან ლიკამპუსთან, შვიდი ვერსტის მანძილზე ჩრდილოეთით ხუნხედგან და ხუთ მილზე რკინის გზის დასავლეთით. რუსები ერთი-სამად მეტნი იყვნენ. ზარალი 10,000 კაცია.

ნიუ-ჩუანი, 24 თებერვალი. იაპონელები სთხოვენ ჩინელებს, სინმინტინში 450 ტონა ბრინჯი მოგვიტანეთო. თუ ვინიცობაა ჩინელები არ დასთანხმდებიან, იაპონელები იმუქრებიან რკინის გზას დავიჭერთო. ჰფიქრობენ, იაპონელებს ჯერ ჩინელების აზრის გაგება ჰსურთო.

ოკუს არმია, 22 თებერვალი. დღეს იაპონელებმა ორჯელ მიიტანეს იერიში რუსებზე კუთხეში რკინის გზისა და მდინარე ხუნხეს შუა. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მიდამოებში 12 სოფელი დასწვეს. შუადღის შემდეგ დაინახეს, რომ ჩრდილოეთისაკენ დიდ-ძალი რუსის ჯარი მიდიოდა, არ იციან, უკან იხევენ რუსები, თუ მაშველ ჯარს სხვა ადგილას ჰგზავნიან. ნაშუადღევს მარცხენა არმიის (გენ. ოკუს არმიის) მარჯვენა ფრთა გაშლილ ველით მუკდენისაკენ გაემართა. („რეიტერი“).

ლონდონი, 24 თებერვალი. გუშინ რუსეთის ელჩმა ბენკენდორფმა ლორდ ლანსდოუნს 65 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩააბარა მეთევზეების საზღაურად. გულის ინციდენტი გათავდა.

ტოკიო, 24 თებერვალი („რეიტერი“). გუშინ ბრძოლა მთელ ფრონტზე იაპონელების სასარგებლოდ მიდიოდა. იაპონელებმა მნიშვნელოვან პოზიციებიდან განდევნეს რუსები. ღამე კუროპატკინი იძულებული იყო უკან დაეხია. გენ. ოკუს არმიის წინ 8 ათასი მოკლული რუსი დარჩა, დანარჩენმა არმიებმა ერთი სამად მეტი ზარალი მისცეს რუსებს. იაპონელთა ზარალი 50 ათას კაცამდეა (მოკლული და დაჭრილი). ორსავე მხარეს საერთოდ 100 ათას კაცზე მეტი უნდა იყოს მოკლული და დაჭრილი. ჯერ დაწვრილებით ცნობები არ მოსულა. მუკდენი ჯერ ისევ რუსების ხელშია. მაჩუნგტანის ალების შემდეგ იაპონელებმა ტიტიდანაც განდევნეს რუსები. —იაპონია 2500 დაჭრილ რუსს პორტ-არტურიდან სამშობლოში ჰგზავნის.

ტოკიო, 24 თებერვალი. თუმცა ჯერ დაწვრილებით არ იციან, რამდენად გაიმარჯვეს იაპონელებმა, ტოკიო მაინც გამარჯვებას დღესასწაულობს და დროშებით მოირთო. ხალხი ქუჩებში გაზეთების საგანგებო გამოცემებს ჰყიდულობს და სამხედრო სამინისტროსა და მთავარ-შტაბს გამარჯვებას ულოცავს. ჰფიქრობენ, რომ ოფიციალურ მოხსენებას ბრძოლის შედეგზე დღეს გამოაცხადებენო.

ნიუ-ჩუანი. 24 თებერვალი. („რეიტერი“). ორშაბათს ღამე ხუნხუზები უცებ დაეცნენ რუსების მზვერავთა პატარა რაზმს და 22 კაცი მოჰკლეს და 2 დაატყვევეს; ტყვეები სინმინტინს ახლო სიკვდილით დასაჯეს.

ადესა, 23 თებერვალი. გაირჩა საქმე შესახებ შარშან მომხდარ აფეთქებისა ადესის ფოსტაში. ბრალსა სდებენ ბესარაბიის საგუბერნიო საერობო გამგეობის ტეხნიკურ განყოფილების საქმის მწარმოებელს ბუხალოს. ამ ბუხალოს ფოსტაში მიუტია გასაგზავნად პაკეტი; ამ პაკეტზე დაწერილი ყოფილა, რომ შიგ ოცდა ათი ათას ორმოცდა ათი მანეთი არისო. ამ პაკეტს აფეთქება მოუხდენია. ექსპერტები იმ დასკვნამდე მისულან, რომ პაკეტში პიროქსილინი ყოფილაო. ბუხალო გამოტყდა და განაცხადა, რომ მას სურდა მთავრობის ყურადღება მიექცია თავის თავზე, რადგანაც მისგან გაგზავნილი პროექტი თვით-მმოძრავ ნაღმის შესახებ, რომელსაც, მისი აზრით, ფლოტის გამოხსნა შეეძლო, საზღვაო უწყებამ არ დააფასა, როგორც უნდოდა ისე. სასამართლოში წაიკითხეს საზღვაო სამინისტროს აზრი ბუხალოს პროექტის შესახებ: იმის აზრით, ბუხალოს, ეტყობა, ცოდნაც აქვს და გონების სიმახვილეც. პროექტის ზოგიერთი ნაწილი არაა დამუშავებული, მაგრამ ავტორს შეუძლიან შესძინოს ფლოტს ახალი ძვირფასი იარაღი. ბუხალო გაამართლეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. გენ. კუროპატკინი იუწყება, ჩვენი ცენტრი და მარცხენა ფრთა უბრძოლველად უკან იხევს მდ. ხუნხეს მარცხენა ნაპირას გამაგრებულ პოზიციებზეო. 3 ოქტომბერს აქეთ ამაგრებენ რუსები პოზიციებს მდ. შახეზე. ყველას მიუვალად მიაჩნდათ ეს პოზიციები; გენ. კუროპატკინს 500 ათასამდე კაცი ჰყავდა და 1500 ზარბაზანი ჰქონდა; რუსის არმიას მტკიცე იმედი ჰქონდა გამარჯვებისა, მით უმეტეს, რომ მარშალ ოიამას ნაკლები ჯარი ჰყავდა გენ. კუროპატკინზე, მაგრამ ეს იმედიც გაცრუვდა და რუსის ჯარმა ეხლაც დიდის ზარალის შემდეგ, მდ. შახეზე და ხუნხეს მარჯვენა ნაპირას მიუვალი პოზიციები მიატოვა და მდ. ხუნხეს მარცხენა ნაპირისაკენ დაიხია. მარშალ ოიამას ბძანება გაუცია, მთელი არმია დაედევნოს რუსებსაო.

თითონ მუკდენთან ჯერ ბრძოლა არ გათავებულა..

24 თებერვალს, მუკდენის ჩრდილოეთით, იაპონელები რკინის გზას 3 ვერსტზე მიახლოვებიან და მუკდენის ახლო ჩრდილოეთითა და დასავლეთით რამდენიმე სოფელი დაუჭერიათ. რუსებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ, მაგრამ ვერას გაუხდიან. 23 თებერვალს იაპონელები სოფ. ლიკამპუსთან ერთი სამად მეტ რუსის ჯარს შეებრძოლნენ და სოფლის მომეტებული ნაწილი აიღეს.

გენ. ოკუ მდ. ხუნხეს მარჯვენა ნაპირას და რკინის გზის შუა ადგილს მთლად იჭერს და რუსის არმიის მარჯვენა ფრთასა და ცენტრს შუა სოლივით შეიჭრება...

გენ. ნოძუ ცენტრში დიდად აწუხებს რუსის ჯარს და 11-დიუიმიან ზარბაზნებით საქმეს უჭირვებს.

გენ. კუროკი ფუშუნის გზაზე სოფ. მანძიადუნს იღებს და ამით რუსის მარცხენა ფრთის ცენტრს არღვევს. კანდოლისანის პოზიციების მარჯვნივაც ლიუჩუნხუტუნს იჭერს და გენ. ლინევიჩის არმიას უფრო აშორებს რუსის ცენტრს. ასე რომ 22 თებერვლის საღამომდე იაპონელებმა ორსავ გვერდიდან და ზურგიდან მოუარეს რუსის არმიას და გენ. კუროპატკინს რომ არ დაეხია მდ. შახე დან, სულ მთლად წრეს შემოავლებდნენ და მოიმწყვდევდნენ...

ბევრი სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, შახეს პოზიციების ბედი დალინის უღელტეხილის აღებამ გადასწყვიტაო. „ინდეპ. ბელჟ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: გენ. კუროკიმ რომ ცინხეჩენი აიღო, რუსის მთავარ-სარდალს მაშინვე მედგარი იერიში უნდა მიეტანა იაპონელების ცენტრზე და დალინის ქედი არ დაენებებინა გენ. კუროკისათვის. მაგრამ რაკი იაპონელებმა დალინის უღელტეხილი აიღეს, გენ. კუროპატკინს წინ გალაშქრება აღარ შეეძლიან და მალე უკან უნდა დაიხიოსო. („ო. ნ.“).

„ნოვოსტი“ 19 თებერვალს სწერდა: ეხლავე ეტყობა, რომ გენ. კუროპატკინს უკან დახევა მოუხდება მდ. შახედან; ნეტა ამდენხანს რისთვის იდგა რუსის ჯარი მდ. შახეზე და იქაურ პოზიციებს რად ამაგრებდა, არა სჯობდა, ადრევე უბრძოლველად უკან დაეხია და ხარბინში გამაგრებულიყოო.

„რუს“-ის კორესპონდენტი ორლოვეცი 17 თებერვალს იუწყებოდა მუკდენიდან: საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იაპონელთა ერთი ძლიერი რაზმი რუსის მარცხენა ფრთის შემოსავლელად წავიდაო, ეგაა შორის გზით მიდისო.

„კენიგ. ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: ცინხენჩენთან რუსებს რამდენიმე ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. („რ. ნ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: 16 თებერვალს გენ. რენენკამფის რაზმიდან 14 დაჭრილი ოფიცერი და 1,074 სალდათი მოიყვანესო.

„რუს“-ის კორესპონდენტი ბ. ჟგუტი იუწყება: 14 თებერვალს გარიჟრაჟზე ბრწყინვალე ამბავი მოხდაო... იტყვით, ალბად, რუსები გაიმარჯვებდნენ სადმეო. სულაც არა... კორესპონდენტი სწერს: სოფ. უბანეპუზასთან იაპონელები ბნელაში მოეპარნენ ნახევარ ბატარეის და ორას ნაბიჯიდან ერთბაშად თოფები დაახალეს. მაგრამ ნახევარ ბატარეის უფროსი პორუჩიკი სინიცინი არ დაიბნა, ორჯელ კარტეჩი ესროლა იაპონელებს და ზარბაზნები ხელად უკან წაათრევინა...

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელ სალდათებს მრავალი ხელით სასროლი ყუმბარა ჰქონდათ დარიგებული. ყველანი კარგად ხმარობენ ამ ყუმბარებს, ყველაზე კარგად-კი გენ. ნოგის არმიის სალდათები ისროდნენ. ხელის სასროლი ყუმბარები პირველად ნოგის არმიაში შემოიღეს პორტ-არტურთან. („ნ. დ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპოდენტი შტაბის პოდპოლკოვნიკი ობოლეშევი 16 თებერვალს სწერს: ეხლა სჩანს, იაპონელები რუსის მარცხენა ფრთაზე და ცენტრში მხოლოდ დემონსტრაციას ახდენენ და ამავე დროს მეტად მედგრად, მეტად გულადად, თითქმის თავხედად მოქმედებენ რუსის არმიის უკანა და მარჯვენა ფრთის პირდაპირ...

იმავ გაზეთის კორესპოდენტი ლოდიჟენსკი იუწყება მუკდენიდან: მუკდენისაკენ წამოსულ იაპონელებს მარტო მუნდირები ეცვათ, რომ უფრო მარდად ევლოთ.., დავანგანპუში (მდ. ხუნხეს პირად) სურსათის დიდი საწყობები დაწვეს 17 თებერვალს. ალმა არე-მარე გაანათა... იაპონელებმა 18 თებერვალს სინმინტინ-მუკდენის გზის მარჯვნივ, მუკდენიდან 6—7 ვერსტის მანძილზე, ჩრდილოეთ-დასავლეთით ყველა სოფელი დაიჭირესო.

ომის ამბები. „ტაიმს“-ის პეტერბურგელი კორესპოდენტი იუწყება: 20 თებერვალს სამხედრო თათბირის დროს მოილაპარაკებენ, გენ. კუროპატკინი უნდა გადადგეს სამსახურიდან, თუ არა და ვინ დაინიშნოს იმის ადგილსაო. ამბობენ, რუსის არმიის მთავარ-სარდლად ან დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს დაჰნიშნავენ, ან გენ. დრაგომიროვსაო. („ს.“).

„პტი პარიზიენ“-ის კორესპოდენტი იუწყება, გენ. გრიპენბერგს სამხედრო სამართალში მისცემენ, ომის დროს არმიის უფროსობას თავი რად დაანებაო. („ო. ნ.“).

მარშალ ოიამას მთავარ-სადგომიდან იუწყებიან, ხუნხუზებმა იმდენი სურსათი მოუსპეს რუსებს, რომ ორ თვეს ეყოფოდა 20 ათას კაცსაო. („ო. ნ.“).

სინმინტინის დაჭერა რუსეთმა ჩინეთის ნეიტრალიტეტის დარღვევად ჩასთვალა და იაპონიას პროტესტი გამოუცხადა. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, იაპონელებს სიცილათ არ ეყოთ რუსეთის პროტესტი, რადგან რუსეთმა თითონ მრავალჯერ დაარღვია ჩინეთის ნეიტრალიტეტიო. („ო. ნ.“).

ომმა დიდი ზარალი მისცა ციმბირს და ლამის დაამშიოს კიდევაც. რკინის გზა სულ ჯარისა და იმის სურსათის ზიდვას უნდება და ხალხისათვის ველარა მიაქვს რა. ლამის ყველა საქმე შედგეს. ირკუტსკიდან ატყობინებენ „რუსკია ვედომოსტი“-ს: ორი-სამი კვირაა, რაც რკინის გზას აღარა მოაქვს-რა ქალაქში, ხალხი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, აუცილებლად დაიმშევაო...

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა. გუშინ პარიზიდან დეპეშამ მეტად საყურადღებო ამბავი მოიტანა: რუსის ესკადრამ კუნძულ მადაგასკარის ზღვა მიატოვა და ჯიბუტისაკენ გაემართაო, იუწყება „რუსეთის სააგენტოს“ კორესპოდენტი. თუ ეს სწორი ცნობაა, მაშ რუსის ფლოტი შინ ბრუნდება და შორეულ-აღმოსავლეთს აღარ წავა....

თითქმის ორი თვე შესრულდა, რაც ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა კუნძულ მადაგასკართან დგას და მაშველ ესკადრას ელის. მადაგასკარი საფრანგეთის კოლონიაა, ამიტომ იაპონიამ პროტესტი გამოუცხადა საფრანგეთის მთავრობას, რუსეთის ფლოტს ბინას რად აძლევთ მადაგასკართან, ეგ ნეიტრალიტეტის დარღვევააო. ეტყობა, ამ პროტესტმა გასჭრა და საფრანგეთის მთავრობამ რუსის ესკადრა დაითხოვა მადაგასკარის ზღვიდან.... („ო. ნ.“).

გურიის ამბები

შემოქმედი. 11—22.

გურიის დღევანდელ მდგომარეობის გამოსაკვლევად გამოგზავნილი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი 18 თებერვალს ჩამოვიდა ნატანებში, აქედან ავიდა ქობულეთში ზოგიერთ ცნობების შესაკრებად და 20 მოვიდა ოზურგეთს, სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებთან კერძო საუბრების დროს გაიგო ბევრი რამ გლეხების გაჭირვების და ადგილობრივ ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების [illegible]

სახებ. ოზურგეთის ინტელიგენციას უნდა წარუდგინოს თავისი მოხსენება გურიის დღევანდელ მოძრაობის შესახებ.

სამშაბათს, 22 თებერვალს, სულთან-კრიმ-გირეი გაემგზავრა ჩემოქმედის საზოგადოების (ს. შემოქმედის, კვირიკეთის, წითელმთის, გოგიეთის, გომის, ფატარის, მაკვანეთის, გორის ფერდის) გლეხებთან მოსალაპარაკებლად, რომელნიც შეიკრიბნენ შემოქმედში. ბ-ნ კრიმ-გირეის პოლიციისაგან არავინ არ ახლავს. არც უნდა მიჰმართოს მას რაიმე დახმარებისათვის და ყრილობასაც თვითონ გლეხების შემწეობით მოიწვევს.

შემოქმედში სულთან-კრიმ-გირეიმ გლეხებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

„მოკვესალმებით, გურიის შვილნო, და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ თქვენ შორის რუსულის ენის მცოდნენიც არიან, მაგრამ მსურს, რომ ჩემი სიტყვები გაიგონოთ თქვენ დედა-ენაზე, რომელიც თქვენთვის უფრო გასაგებია.

ამ ჩემ სიტყვებს გადმოგითარგმნით ის ადამიანი, რომელსაც მე კარგად ვიცნობ და რომელიც თან მომყვა. მე მეტად მიხარიან, რომ მომეცა შემთხვევა მოვსულიყავი მშვენიერ გურიაში და ახლო გამეცნო გურულები. და ბედნიერი ვიქმნები, თუ ჩემი მოსვლა მოგიტანთ თქვენ სულიერ მშვიდობას და დაწყნარებას.

გურულებო! ყოჩაღი და ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ უმთავრესად თქვენი მეუღრობის ღირსი უნდა იყვეს შვილების აღზრდა-განათლება. მე ვიცი, რომ თქვენში ბავშვები ხშირად დადიან ყოველ დღე სასწავლებელში ხუთი-ექვსი ვერსის სიშორეზე და სხვა მრავალი დაბრკოლებაც ხელს უშლის მათ, მაგრამ, მაინც, სამი მეოთხედი ბავშვებისა სკოლაში სწავლობს. ამ მხრივ სწორედ მაგალითი ხართ ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებისათვის. თქვენი ახალგაზდობა გურიის [illegible] და იმედია და თქვენ ყოველი საშუალება უნდა იხმაროთ, რომ დაიფაროთ თქვენი ახალგაზდობა ისეთის საქმეებით გატაცებისაგან, რომელნიც არ შეეფერება მათ წლოვანობას, და ამით მისცეთ ახალგაზრდობას შეძლება მშვიდობიანად განაგრძოს განათლება. ამ მზრუნველობისათვის თქვენი ზნეობრივი დამაკმაყოფილებელი იქმნება ყველაზე უწყნარეს იმისი შეგნება, რომ თქვენ შეასრულეთ მძიმე მოვალეობა, როგორც მამებმა და მოქალაქეებმა, და შემდეგ რწმენა, რომ ახალგაზდობა თავის დროზე პატივისცემით და მადლობით მოგიგონებთ თქვენ.

მე მითხრეს, თქვენ შორის არიან ფიცხი ადამიანები. სასტიკად ნუ გაჰკიცხავთ მათ; მაგრამ ნურც მიჰყვებით იმათ კარგად მოუფიქრებელ რჩევას და იმათ ფიცხ გატაცებას წინ დაუყენეთ სიდინჯე და გონიერება. ნუ გაჰკიცხავთ აგრეთვე იმ რუსებს, რომელნიც ოცნებობენ და სცდილობენ, რაც შეიძლება მალე მოაწყონ აქ ყველაფერი რუსულ წეს-რიგზე და რუსულად. არსებითად მათი აზრი ძალიან მოსაწონია. მათ უნდათ, რომ მთელის რუსეთის ყველა წევრები, მთელის ამ ოჯახის ყველა ხალხები სცხოვრობდნენ ერთის საერთო ცხოვრებით და ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ერთის საერთო ენით. ამათ ჰსურთ, დააჩქარონ ისტორიული მსვლელობა, მაგრამ ავიწყდებათ ის, რომ სასურველი ერთობა ნაყოფიერი იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ერთობა დამყარდება ბუნებრივად (თავისუფლად) და ძალ-დაუტანებლად. ამგვარი ერთობა, რასაკვირველია, სრულიად არ მოითხოვს, მაგალითად, რომ ქართველმა დაივიწყოს თავისი ქართული, მშობლიური. ყოველი რუსი სრულის პატივის ცემით მოეპყრობა იმ ქართველს, რომელსაც შეუთვისებია რუსული კულტურა, მაგრამ რომელიც ამავე დროს არის კარგი ქართველი, უყვარს ქართული ენა, მწერლობა, და სწავლობს თავის ქვეყნის ისტორიასა და წარსულს სიძველეებს, და სამაგიეროდ ის არ ენდობა იმ ქართველს, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს ყველაფერს მშობლიურს. ეს გასაგებია: განა ცუდ ქართველს შეუძლიან იყოს კარგი რუსი?

გურიის მდგომარეობა გაჭირვებულია, ბევრს რასმე უნდა გაუკეთესება, მოწეს-რიგება, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. დიდ-ხანს იტანჯებოდით, იქონიეთ სიმამაცე და მოითმინეთ ცოტა კიდევ. წერა-კითხვა თქვენში ძალიან გავრცელებულია, სოფლებში ყველგან წიგნები გაქვთ, ზოგიერთებს გაზეთიც და, მე ვიცი, რომ თქვენ, როგორც მთელ რუსეთში, გაფაციცებით ადევნებთ თვალ-ყურს 1904 წ. 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანებაში უმოწყალესად აღნიშნულ საკითხების განხილვასა და შემუშავებას. ამიტომ ნუ დაივიწყებთ რომ უეჭველად კაცთ-მოყვარე ბრძანების ახლობელ კეთილ შედეგით ისარგებლებენ გლეხები. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა სცდილობს, რომ გააკეთოს ყველაფერი, რაც კი გააუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას და შესაძლებელ ჰქნის თქვენთვის მომავალში გამოძიება და გამოკვლევა თქვენთა აუცილებელ საჭიროებათა.

მთავარ-მართებელი სასტიკად თხოულობს წესიერებას და უშიშრობის დაცვას, სრულს აღიარებას კანონებისა და კანონიერ მთავრობისას და მორჩილებას. ამასთანავე მომანდო მე მოვისმინო თქვენი საჩივრები და განცხადებანი და მომცა უფლება განცნობოთ, რომ ის კანონიერი და სამართლიანი საჩივრები და თხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება დამოკიდებულია მთავარ-მართებლისაგან, დაკმაყოფილებული იქნება ეხლავე, იმ საჭიროებათა შესახებ-კი, რომელნიც აღემატება მთავარ-მართებლის უფლებას, წარდგენილი იქნება მთავარ-მართებლის მიერ შუამდგომლობა მის იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე.

რაც გურიაში მოხდა, ამის ახსნა შეიძლება, გამართლება-კი არა. თქვენ არ შეგიძლიანთ არ აღიაროთ, რომ ბევრი თქვენი წევრთაგანი უკანონოდ მოქმედებს. მე არ გკითხავთ, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ გთხოვთ, ასწონოთ თქვენთვის, თქვენის ცოლშვილისა და გურიის მომავლისათვის უბედური შედეგი, რომელიც მოჰყვება მთავრობის და კანონების წინააღმდეგობას. მთავარ-მართებელი კეთილის გულით და ყურადღებით ეპყრობა თქვენს გაჭირვებას, რის დამამტკიცებელია ჩემი აქ, თქვენთან ყოფნა. მაგრამ ჩემი გამოგზავნა უკანასკნელი ცდაა მთავარ-მართებლისა, რომ მშვიდობიანად მოეღოს ბოლო სამწუხარო უთანხმოებას და გაუგებრობას.

ასწონეთ ყველაფერი, რაც მე გითხარით, ნუ აჩქარდებით პასუხის მიცემას, შეჰკითხეთ იმათ, რომელთაც თქვენ ენდობით, რომელთაც ჰსურთ თქვენთვის სიკეთე, და შეგეწიოთ ღმერთი ამ გაჭირვებულ და მძიმე წამს, რათა დაიცვათ თქვენი ჩვეულებრივი სიწყნარე, სიფრთხილე და კეთილ-გონიერება“.

ბახვის საზოგადოება 11—23.

სულთან-კრიმ-გირეის სიტყვის წაკითხვის შემდეგ, ხალხი გავიდა ცალკე, მოილაპარაკა ერთმანეთში და აირჩიეს თორმეტი წარმომადგენელი. საზოგადოების მოთხოვნილებით ყრილობას მოშორდნენ მამასახლისი, მწერალი და მღვდლები.

წარმომადგენლებმა ყოვლის უწინარეს ყურადღება მიაქციეს გადასახადებს. მრავალი გადასახადი აწევს გლეხს კისერზე, ყველაფერს გლეხი იხდის და საშუალება კი არ მოეპოვება. დაგვეცემა „ბორჩიკი“ და ქვიდან უნდა გამოვაძვრინოთ რამე, თორემ მჭადს წაგვართმევს, ძროხას გაგვიყიდის, ხარს, თოხს, ქვაბს. ამასაც არ დაგვაჯერებენ, გვცემენ, დაგვატუსაღებენ. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ცოლის ნამზითვი ფარდაგი გაუტანიათ, ქალს წინააღმდეგობა დაუწყია, მაგრამ წაუქცევიათ და გაულახავთ. „მე თვითონ ვიყავი ბორჩიკი (ამბობს ერთი დეპუტატი) და უკანასკნელი კვირის საჭმელი ფქვილი წამირთმევია გლეხისთვის. რას ვიზამდი მამასახლისი მახრჩობდა.“

სხვა გადასახადებიც არის, მაგალითად, დრამა. ნათლის, ზიარების, ქორწილის—ყველაფრის ცალკე უნდა გადავიხადოთ. კაცი რომ მოკვდება, პანაშვიდი და რაღაც სალოცავები უნდაო, გვეუბნებიან ხუცები, ისე არ ცხონდებაო, და ტყავს გვაძრობენ. ამას გარდა დრამის ფულიც ცალკე უნდა ვიხადოთ. ხუცები შეუბრალებელნი არიან. მივალთ, შევეხვეწებით, მოგვითმინეთ, ვიშოვნით და გადაგიხდით ფულსთქო. არაო, გვიპასუხებენ: ეგ ჩვენი საქმე არ არის. პოლიციაზე გვაქვს გადაცემულიო. მოხდება ისე, მოკვდება ვინმე ღარიბი და მღვდელი მკვდარს წესს არ აუგებს, თუ პატრონი არ წავიდა, ფული არ ისესხა და არ გადაიხადა საწირავი.

მუდამ დღე ცხენები გვყავს შენახული მთავრობის კაცებისთვის: 4 ცხენს ოზურგეთში ვინახავთ, ორს კი ამ ჩვენს კანცელარიაზე. ამ ცხენებზე წელიწადში გვეხარჯება 250 მანეთი. ვინ არ სარგებლობს მერე ამ ცხენებით? შარშანწინ ბოქაულმა ხაბურზანიამ თავისი ცოლი გაგზავნა ჩვენის ცხენით, ცუდი უნაგირი იყო, ცხენი დაშავდა და ჩვენ გადაგვხდა იმისი ფასი.

მარტო ჩვენ, გლეხებმა უნდა ვიდარაჯოთ თუ ეკლესიაზე, თუ გზებზე, თუ აგარაკებზე. ორი-სამი კვირით უნდა ვიდარაჯოთ, რომ მდიდრებს არაფერი ვნება მოუვიდეთ. მაზრის უფროსი ან ბოქაული რომ სადმე მიდის, უნდა ვახლოთ, უნდა გავყვეთ იმის ცოლს, შვილებს, წავუღოთ ბარგი. ჩვენ ვაკეთებთ გზებს, თუმცა ამ გზებით სარგებლობენ ყველანი.

უნდა მოისპოს ისეთი გადასახადები, რომელიც მარტო გლეხებს ხვდება, აგრეთვე სხვა და სხვა ჩვენი შემავიწროვებელი ბაჟები და აქციზი არაყზე.

ჩვენში დიდი სივიწროვეა მიწისა, გლეხებს სრულებით არა გვაქვს მიწა. სამაგიეროდ ბევრი აქვთ მემამულეებს. მერე საიდან? ღმერთს ხომ არ ჩამოუგდია მათთვის ზეციდან? ჩვენ შიმშილი გვკლავს, მემამულეებს კი სასიმინდე სავსე აქვთ ჩვენგან დამუშავებულის და მოყვანილის სიმინდით. ამაზე მეტი უსამართლობა შეიძლება? ჩვენ, მშრომელი ხალხი მშიერნი ვართ და ჩვენის ოფლით შეძენილის სიმინდით სხვა ქეიფობს! ჩვენ არა გვაქვს საკუთარი მიწა, ვიღებთ მემამულისაგან იჯარით აუტანელ პირობებით: საიჯარო ღალას ვიხდით მოსავლის ნახევარს, ან 15—20 ფუთს ქცევაზე და გარდა ამისა „სალეკრობის“, ქრთამს, ძღვენს. თუ კარგი მოსავალია, რამე დაგვრჩება მემამულის მიწისაგან, მაგრამ თუ მოუსავლობა იქნება, მაშინ პირიქით უნდა დავადვათ, ქვაბი უნდა გავყიდოთ და შევუსრულოთ დანაკლისი, თორემ გვიჩივლებს. სიმინდი უნდა გავურჩიოთ, მივუტანოთ და სასიმინდეში ჩავუყაროთ საკუთარის ხელით. მანამდის ჩვენი სიმინდი უნდა ეყაროს ყანაში, დალპება თუ წახდება, არავის დარდი არა აქვს... ასეთ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია. მუშა ხალხი ვთხოულობთ სამუშაო მიწას. უნდა განთავისუფლებულ იქნენ მიწიანათ დროებითი ვალდებული გლეხები. ვინც უკვე დაიხსნა თავი და გადაიხადა ფული ნადელში, ამას უნდა დაუბრუნდეს ეს ფული, რადგან ერთი რომ რატომ იყო მიწა ნადელი ბატონისა და არა გლეხის, მეორე—გლეხმა ნადელის სასყიდლად ფული ვალად აილო და დღესაც ვერ გადაუხდია ეს ფული.

ჩვენში არიან სახელმწიფო გლეხები, რომელთაც არა აქვთ ის უფლება, რომელიც აქვთ სხვებს: სახელმწიფო გლეხებს არ შეუძლიანთ გაჰყიდონ ან დააგირავონ ის მიწები, რომელთაც ფლობენ. უნდა მიეცეთ ამის უფლება.

მრავალი მიწაა სახაზინო, საეკლესიო, საუფლისწულო; გლეხებს არ შეგვიძლიან ვისარგებლოთ ამ მიწებით, ყველაზე ბაჟი და გადასახადია. ეს მიწები უნდა გადაეცეს გლეხობას, მშრომელს ხალხს და მათ გასანაწილებლად დაარსდეს გლეხთა წარმომადგენლების კომიტეტები...

ვინ ჩამოსთვლის გლეხის გაჭირვებას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ შეგვიძლიან შევიკრიბოთ და ვილაპარაკოთ ჩვენის გაჭირვებულის მდგომარეობის შესახებ, მაშინვე „ბუნტოვჩიკებს“ დაგვიძახებენ. ათი კაცი რომ ერთად შევიკრიბოთ, მოცვივდებიან „სტრაჟნიკები“ და მათრახებით დაგვიწყებენ ცემას და დაგვატუსაღებენ. ამ ორი წლის წინად ჩვენი ამხანაგები დახოცეს ხიდისთავში და ლანჩხუთში მხოლოდ იმიტომ, რომ შეიკრიბნენ და თავის საჭიროებაზე ლაპარაკობდნენ. ორი თვის წინად საზიარო ადგილების შესახებ გვქონდა ყრილობა ჩვენ და მეზობელ საზოგადოების გლეხებს, მოვიდნენ ყაზახები და სამი ამხანაგი დაგვიჭირეს.—ზოგიერთ ჩვენგანს ცოტა რამ გაუგია, წერა-კითხვა იცის, ჰკითხულობს გაზეთს, მაგრამ ერთი რამ აკვირვებს: გაზეთში ათასნაირი ამბავი სწერია, მაგრამ ერთი სიტყვა არაა ჩვენი მდგომარეობის შესახებ. რატომ? გვითხრეს, რომ ეს აკრძალულიაო. გვინახავს დაბეჭდილი ფურცლები, სადაც ბევრი კარგი ამბავი და მართალი სწერია, ასეთი სიმართლის წაკითხვა არ შეიძლება, თუ წაიკითხე, დაგატუსაღებენ.

ჩვენ ვთხოულობთ, რომ იყოს თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, მწერლობისა და გაზეთებისა. ნუ იქნება ადამიანის პიროვნების დამონება, შეურაცხყოფა, ნუ შეგვარდებიან ჩვენს ოჯახში, ნუ მიგვინგრ-მოგვინგრევენ სახლს-კარს, იქნეს თავისუფლება პიროვნებისა და ხელშეუხებლობა ბინისა.

საჭიროება უფრო და უფრო მატულობს, ცხოვრება ძნელდება და ვიცით, რომ ასეთ დროში საჭიროა განათლება, მაგრამ ის კი ვერ გაგვიგია, რომ რატომ უნდა სჭამდნენ თაგვები იმ წიგნებს, რომლებიც ვიყიდეთ ჩვენის საკუთარის ფულით (ბიბლიოთეკების დაკეტვა). გაუნათლებელი ხალხი სუსტია, შეიძლება, ამიტომ სდევნის მთავრობა განათლებას.

ჩვენ გვინდა, რომ იყოს უფასო საყოველთაო, სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლება, რომ ყველასათვის თანასწორი და თავისუფალი იყოს განათლება.

ჩვენი დიდი შემაწუხებელია სალდათობა. ჩვენში სალდათობა არ იყო, მერე შემოიღეს და ჩვენი სალდათები აქვე იყვნენ. შემდეგ კი უცხო ქვეყანაში გაგზავნეს და იქ სამში ორი ვერა სძლებს და კვდება. სალდათი შორდება სახლს და ამით აკლდება ოჯახს მუშა კაცი, ოჯახის მდგომარეობა კიდევ უარესდება. ჯარს ინახავს მშრომელი ხალხი და ამ ხალხის წინააღმდეგ მოქმედობს ხშირად ეს ჯარი. ჩემი ბიძა იყო სალდათად (სთქვა ერთმა) და მითხრა, ჯარში რომ ვიყავი, დამაფიცეს, რომ დავიცვათ სახელმწიფო გარეშე და შინაგან მტრებისაგან. ვსთქვათ, რომ გარეშე მტერია იაპონია, მაგრამ შინაური მტრები ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ? შინაური მტრები იყვნენ პეტერბურგში დახოცილი მუშები? ამისთვის უნდა დაინთხეს ამდენი სისხლი? ამისთვის უნდა ებრძოლოს ძმა ძმას?.. ძმები ვართ ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ჩვენ ერთმანეთს არ შევჭამთ, ამას ნუ სცდილობს მთავრობა! და თუ გარეშე მტერი შემოგვესევა, ჩვენ უკეთ დავიცავთ ჩვენს თავს.

ჩვენი გაჭირვების და საჭიროების აწერას ვერ გავათავებთ. ვის შეუძლიან ჩვენ საჭიროებათა დაკმაყოფილება? ვინ გაიგებს ჩვენს ხმას? არა დღევანდელი მთავრობა, რომელიც არასოდეს არ გვაქცევდა ყურადღებას, უზომოდ გვაწვალებდა და გვტანჯავდა. ჩვენი მოთხოვნილება არ არის კერძო, მხოლოდ ქართული. ასე თხოულობს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით ჩვენს მოძმეებს რუსეთში, მხარში ვუდგევართ იმათ. ჩვენი საერთო დაკმაყოფილება შეიძლება მაშინ, როდესაც შეიკრიბება ხალხი და საყოველთაო, დახურულის, სწორის კენჭის ყრით. აირჩევს თავის წარმომადგენლებს მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი მთავრობა, მხოლოდ ხალხის ხმაა სამართლიანი და პატიოსანი.

ესაა ჩვენი საჭიროება და ჩვენი რწმენა. სიმართლე უძლეველია. რაც უნდა გაჭირვება და შევიწროვება შევხვდეს, ჩვენ მაინც არ ვუღალატებთ სიმართლეს. ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს, მაშინ იქნება ბედნიერება დედამიწაზე...

სიტყვა

ახალი ამბავი

◆ როგორც სოფელ მეჯვრისხევიდან (გორის მაზრა) გვწერენ, ადგილობრივ **გლეხთა შორის დიდი მითქმა-მოთქმაა.** 23 თებერვალს გლეხები შემოესივნენ სკოლას და ჩამტვრიეს ფანჯრები. ასევე მოიქცნენ სასოფლო ქსენონში. ქსენონში ჩამტვრიეს აფთიაქის ფანჯრები. შემდეგ გლეხობა ბოქაულსა და მამასახლისთან წავიდნენ და მოითხოვეს გამოსულიყვნენ სალაპარაკოდ.

◆ ქალაქ ტფილისის წყლის მილის განყოფილების მოხელეებმა სავიცკიმ, თუშაბრამოვმა და ნადირაძემ განცხადება შეიტანეს გუშინ გამგეობაში მოხელენი სწერენ, 19 თებერვალს საღამოთი ავჭალის ქუჩაზედ მივდიოდით. როცა გავუსწორდით სახლს № 9-ს, შემოგვხვდა ორი **შეიარაღებული ყაზახი-რუსი** და შემოგვძახა: სომეხი ხართ, რუსები თუ ქართველებიო. ყაზახებმა თანაც ხმლები ამოიღეს და პასუხის მოლოდინში მუქარით დაგვიდგნენ თავს. სავიცკიმ, რომლისაკენაც მიმართული იყო ამოღებული ხმალი, განზე გაიწია და უპასუხა, რუსი ვარო. სტყუიო,—დაუყვირა ყაზახმა და ის იყო, ხმალი უნდა დაეკრა, რომ მოვიდა ერთი უბნის ზედამხედველი და გადაგვარჩინა ამ ძალმომრეობასაო. მოსამსახურენი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, მფარველობა გაგვიწიეთ, რომ ასეთი თავხედური ქცევა აღარ განმეორდესო.

◆ როგორც უკვე ვწერდით, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეებმა 19 თებერვალს **სწავლას თავი დაანებეს.** მოსწავლეებს ინსტიტუტის მთავრობისათვის წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი. სხვათა შორის, თხოულობენ სრულიად შეცვლილ იქმნეს ინსტიტუტის პროგრამმა, ე. ი. ინსტიტუტს პედაგოგიურის მხრივ მიენიჭოს უფლება უმაღლესს საპედაგოგო ინსტიტუტისა, ნება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისა, გაუმჯობესდეს დამოკიდებულება მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, გაუქმდეს პანსიონი, ასე, რომ

ფელეტონი

საფრანგეთის ისტორიიდან

ძველის წესის მიხედვით, თითეული წოდება თავისთვის, ცალკე ირჩევდა წარმომადგენლებს; საფრანგეთის ყოველ კუთხეში თავად-აზნაურობა ცალკე შეიკრიბა, სამღვდელოება ცალკე და მესამე წოდება კიდევ ცალკე. პირველი ორი წოდება პირდაპირ ირჩევდა თავის წარმომადგენელს ან დეპუტატს; მესამე წოდებას კი ჯერ ამომრჩევლები უნდა აერჩია და შემდეგ კი ესენი აირჩევდნენ თავიანთ შორის დეპუტატებს.

როგორც ვიცით, მთავრობის აზრი იყო ფულის შოვნა, როცა წარმომადგენლების მოწვევა გადასწყვიტა; თან ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არსებული წესი ქვეყნის მართვა-გამგეობისა შეუცვლელი დაეტოვებინა. და რომ ეს განზრახვები სისრულეში მოეყვანა, ერთ მოულოდნელ ღონისძიებას მიჰმართა: არჩევის უფლება მიანიჭა მცირე ქონების პატრონსაც (ყველას, ვინც კი 6 ფრანკზე *) ნაკლებს არ იხდიდა სახელმწიფოს სასარგებლოდ); მთავრობის მოსაზრებით, ასეთ ხალხის არჩეული პირები დიდი მომხრე იქნებოდნენ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებაზე ხარჯის გაწერასა და თან იმდენად განუვითარებელნი და მოუმზადებელნიც, რომ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილებას ხელუხლებლად დასტოვებდნენ. ასეთ შეუგნებელ დეპუტატების საშუალებით ჰფიქრობდა მთავრობა ძველის მდგომარეობის შერჩენას წინააღმდეგ დაწინაურებულ ფრანგების სურვილისა და განზრახვისა: უვიცობა განათლების წინააღმდეგ, აი მოკლედ ლუი მეთექვსმეტეს და სასახლის ღონისძიება მომავალ რევოლიუციის თავიდან ასაცდენად.

მაინცა და მაინც არ ეკიჟინება მაშინდელ მთავრობას ასეთი შეხედულება ხალხის განვითარებაზე: როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ამავე აზრის იყო საფრანგეთის ხალხზე იმ დროის საუკეთესო მოწინავე საზოგადოებაც.

არ გამართლდა არც მთავრობის იმედი და არც მოწინავე საზოგადოების შიში.

ხალხი კარგად გრძნობდა თავის გაჭირვებას, იმასაც ხედავდა, რომ უთუოდ ცვლილება უნდა მომხდარიყო მის მდგომარეობაში, და დიდის სიდინჯით და მოსაზრებით მოეკიდა დეპუტატების არჩევას და ამათთვის საგანგებო დარიგებების შედგენას. მეფეს მართლა განუზრახავს ჩვენი გაჭირვების შემსუბუქება, გულწრფელად მოისმენს ხალხის არჩეულ პირების საჩივრებს და მიიღებს მათ რჩევასო, ჰფიქრობდა ხალხი, როცა იკრიბებოდა დეპუტატების ასარჩევად და თავის საჭიროებათა აღსანუსხავად. საფრანგეთის ხალხი ჯერ კიდევ არ იყო ერი—მეფე, ერი—უდიდესი მბრძანებელი სახელმწიფოში, მაგრამ იგი უკვე ადამიანურ მოპყრობას თხოულობდა, რადგან შეგნებული ჰქონდა ადამიანის ღირსება: მეც კაცი ვარ, მეც მინდა ადამიანური ცხოვრებაო, აი რის გამომხატველი იყო სახალხო არჩევნები და ის „რვეულები“ (cahiers), რომლებშიაც ჩაწერილი იყო ხალხის საჭიროებანი და მოთხოვნანი.

ეს საერთო ხასიათი სახალხო არჩევნებისა უფრო გამოირკვა, როცა ხალხის წარმომადგენლებმა ერთად მოიყარეს თავი, გაეცნენ ერთმანეთს, მოილაპარაკეს. პირველად აქ იგრძნეს მათ, რომ ერთის ერის შვილები იყვნენ. მანამდე საფრანგეთი სხვა-და-სხვა პროვინციებად იყო დაყოფილი, ერთი პროვინცია მეორეს არ ჰგავდა არც ზნით, არც ხასიათით და, რაც უფრო აღსანიშნავია,—მმართველობის წესითაც; საფრანგეთი თითქოს მრავალ კრებისაგან იყო შემდგარი. ერთი და განუყოფელი ერი საფრანგეთისა ხალხის წარმომადგენლების ერთად შეყრამ დაჰბადა, და ეს ერთი და განუყოფელი ერი ერთის სურვილით, ერთის აზრით იყო გამსჭვალული—თვითონვე ყოფილიყო თავისი პატრონი: მომვლელი და მზრუნველი არ მინდა, სრულ-წლოვანი ვარ, ჩემს თავს მე თვითონ მოვუვლიო, აი რას ამბობდა ხალხი თავის წარმომადგენლების პირით.

იმედი გაუცრუვდა მეფესა და სასახლეს, იგრძნეს, რომ ძველ წესის მეფე ხალხს აღარ უნდოდა; არ უნდოდა სხვა-და-სხვა უპირატესობით აღჭურვილი თავად-აზნაურობა და მაღალი სასულიერო წოდებაც.

როგორც წინა წერილში გვქონდა ნათქვამი, ორივე წარჩინებული წოდება მეტად უკმაყოფილო იყო მთავრობისა: რად განიზრახა ჩვენზე ხარჯების გაწერა; მაგრამ ელდა, როცა დაინახეს ხალხის ნამდვილი გულის ნადები, უკმაყოფილება დაივიწყეს და შეუერთდნენ მთავრობას, რომ შეერთებულის ძალღონით გადაღობებოდნენ ხალხის სურვილებისა და განზრახვების განხორციელებას.

არჩეულ წარმომადგენლების შეკრების შემდეგ მთავრობამ გამოაცხადა—ყოველ წოდების წარმომადგენელნი ცალკე უნდა შეიკრიბნენ, ცალკე უნდა ითათბირონ საქმეებზედ და დადგენილებაც ცალკე უნდა მოახდინონო. ასეთი განკარგულება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ხალხის ყინულზე გაცურება ჰქონდათ გადაწყვეტილი: ცალკ-ცალკე თათბირი და დადგენილების მოხდენა იმას ნიშნავდა, რომ ბოლოს თითეულ წოდებას თითო ხმა ექნებოდა, და რა-კი ორი წოდება ძველის მომხრე იყო, მესამე წოდებას რაც არ უნდა გადაეწყვიტა, უნაყოფო და უმნიშვნელო იქნებოდა.

ხალხის წარმომადგენლებმა, „რასაკვირველია, მაშინვე მიხვდნენ და მოითხოვეს, რომ ყველა დეპუტატები ერთად შეკრებილიყვნენ და ყოველი საკითხი ხმის უმრავლესობით ყოფილიყო გადაწყვეტილი. მთავრობა, რასაკვირველია, უარზე იდგა, და საქმე მეტად ჭიანურდებოდა: მთელი ექვსი კვირა (1789 წლის 5 მაისიდან 17 ივნისამდე) ამ საკითხზე ჰქონდათ თათბირი და მოლაპარაკება. 17 ივნისს მესამე წოდების წარმომადგენლები გაბედულ მოქმედების გზას დაადგნენ: რა-კი არც მთავრობას, არც წარჩინებულ წოდებათ არ სურთ ჩვენთან მუშაობა სახელმწიფოს განახლებისათვის, ვაცხადებთ, რომ ეს ჩვენი კრება არის ნამდვილი ეროვნული კრება ე. ი. მთელის ხალხის წარმომადგენელი, და დაუყოვნებლივ შევუდგეთ სახელმწიფო საქმეებსაო. ასრულდა კიდეც ნათქვამი და იმავე დღეს კრებამ დაადგინა: გადასახადების გაწერა მხოლოდ კრებას შეუძლია; თუმცა არსებული გადასახადები უკანონოა, მაგრამ დარჩეს, სანამ ეროვნული კრება დაიშლებოდეს; მერე-კი ყოველი გადასახადი, რომელიც-კი ამ კრებისაგან არ არის მიღებული, ისპობა; საფრანგეთის სახელმწიფო ვალის გადახდა უზრუნველყოფილი იქნება, სანამ ეროვნული კრება ხელშეუშლელად [illegible] იმუშავებს საფრანგეთის წესწყობილების განახლებისათვის.

ხალხი აღტაცებაში იყო დეპუტატების გაბედულებით; სამაგიეროდ მთავრობამ გონება დაჰკარგა და არ იცოდა, რა ექნა. სანამ რომელიმე გზას აირჩევდნენ, დეპუტატებს დაუკეტეს ის დარბაზი, სადაც იკრიბებოდნენ; მაგრამ მალე ახალი ბინა იშოვეს (ბურთის სათამაშო სახლი) და იქ შეიკრიბნენ. რა-კი ურთიერთი დამოკიდებულება მთავრობისა და ხალხის წარმომადგენლებისა ასე გამწვავდა, მოსალოდნელი იყო სასტიკი ღონისძიებანი და სწორედ ასეთ შემთხვევისათვის იყო, რომ დეპუტატებმა ერთმანეთს შეჰფიცეს. „ვფიცავთ, რომ არ დავიშლებით; შევიკრიბებით ყველგან, სადაც-კი შესაძლებელი იქნება, სანამ შემუშავებული და მტკიცე [illegible] გან-ეარებული არ იქნება სამეფოს [illegible] ბილება“. აღტაცებით და აღფრთო[illegible], ის დვეს ეს ფიცი ხალხის წარმომა[illegible] წო-

ეს მოხდა 20 ივნისს და 2[illegible] წოდების წარმომადგენელთა უმ[illegible] ნულ კრებას შეუერთდა. პარიზ[illegible] აღტაცებით ადევნებდა თვალყ[illegible] ვედ ნ. ბიჯ.ს. მთავრობა

---

*) ფრანკი 36 კაპ. უდრის.

კუთვნილი ფული მოსწავლეებს ეძლეოდეთ, მასწავლებელთა პიროვნება ხელ-უხლებელი იქნეს, შემოღებულ იქმნას საყოველთაო უფასო სწავლება და სხვ. და სხ.

✦ როგორც უკვე ვწერდით, იანვრის ბოლო რიცხვებში ტფილისის **ტრამვაის მოხელენი გაიფიცნენ** და რამდენსამე დღეს წესიერი მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. უსახელო საზოგადოებამ მოთხოვნილება კონდუქტორებისა და სხვა მოხელეთა იმათი დააკმაყოფილა, რომ ერთი შაური მოუმატა იმათ დღიურ ჯამაგირს, ვისაც 2 წელსა და მეტს ხანს უმსახურნია. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა უსახელო საზოგადოებას, ნება დართოს თავის მოხელეებს მოახდინონ კრება, აირჩიონ ექვსი წარმომადგენელი: ორი ვაგონების დამტარებელი, ორი კონდუქტორი და ორიც კონტროლიორი. ამათ უნდა გამოარკვიონ თავიანთი საჭიროებანი და გამგეობას წერილობით თუ სიტყვიერად აცნობონ.

✦ **საყურადღებო ამბავს** გადმოგვცემს „ტფილ. ვედ.“-ი. 21 თებერვალს დროებითი სამხედრო სასამართლო შეუდგა ოსთა დივიზიონის 61 ცხენოსნის საქმის განხილვას. იმათ იმას ჰბრალდებათ, რომ უარი განაცხადეს, ჯარში ვეღარ ვიმსახურებთო.

✦ 25 თებერვალს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სატელეგრაფო კანცელარიაში მოხდა **კერძო თათბირი** რკინის გზის მოხელეებისა. დაესწრნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტროლიორები და ლიანდაგიდან ჩამოსული არჩეული დეპუტატები, უფროსი და უმცროსი ტელეგრაფისტები. ყველას სახეზე სიამოვნება ეტყობოდა, რადგან ასეთი კრება პირველი მაგალითი იყო.

✦ **ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან** არსებობს საარტელო სასადილო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის. მოხელენი მუდამ უჩიოდნენ ამ სასადილოს. ამას წინად მოსამსახურეებმა, რიცხვით 60 კაცმა, სთხოვეს უფროსს, რომ მეარტელე დაეთხოვნა და სამზარეულო თვით მოსამსახურეთათვის ჩაებარებინა. ასეთი თხოვნები წინადაც იყო, მაგრამ უფროსმა, თხოვნის ასრულების ნაცვლად, რაღაც გამოძიება დანიშნა. მხოლოდ ეხლა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა ლინდენმა განკარგულება მოახდინა, გადაიდოს 120 მანეთი სამზარეულოსათვის ქურქლის სასყიდლად. თვით სამზარეულოც მოსამსახურეებს გადაეცემათ.

✦ სომხურ დრამატიულ დასის რეჟისორად ნამყოფმა ბ-ნმა ჯაბარმა ტფილისში განიზრახა **სათეატრო სკოლის დაარსება.** დასახმარებლად ბ-ნმა ჯაბარმა მიჰმართა ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგადოებებს და საარტისტო საზოგადოებას. ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ მოიწონა ეს წინადადება და დაადგინა, შეუდგეს იმის გამორკვევას, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს საქმე და რა ფული მოუნდება.

✦ **ქართულ წარმოდგენების** გამმართველ ამხანაგობას, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, წლევანდელს სეზონის განმავლობაში უზარალნია 2,000 მან. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ივალოს ამ დღეებში 1000 მან. და ის 500 მან. გადასცეს ამხანაგობას, რომელსაც შემწეობად დაჰპირდა.

✦ **ბორჯომი.** 23 თებერვალს ბორჯომის ხეობაში შესდგა სხვა-და-სხვა კრება, ერთი ბაკურიანის შტოს საზოგადოების უფროსებისა ბაკურიანში და მეორე—აქაურ სამღვდელოებისა. სადგურის უფროსებს მსჯელობა ჰქონდა იმაზე, რომ წარუდგინონ რკინის გზის მთავრობას თავიანთი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. სხვათა შორის, მოითხოვეს ჯამაგირის 50 პროცენტის მომატება და ყველა სადგურზე საყინულეს გაკეთება, რადგან ზაფხულში შეუძლებელია სანოვაგის შენახვა. სამღვდელოების კრებამ (თავი მოიყარა 30-მდე მღვდელმა და მეფსალმუნემ) დაადგინა, სთხოვოს მთავრობას დააკმაყოფილოს იგინი ჯამაგირით, რადგან ხალხს არ შეუძლიან რისამე გაღება. კრებამ დაადგინა აგრეთვე, დღეის შემდეგ აღარა სთხოვონ დრამა გლეხს, დარწმუნებულნი არიან, რომ სულ ახლო მომავალში სასულიერო მთავრობა დააკმაყოფილებს მათს თხოვნას. ეს თხოვნა კიდევ განმეორდება, უკეთუ მთავრობამ არ შეიწყნარა.

✦ 6-დან 9 თებერვლამდე **ბაქოში არეულობის დროს** დახოცილ სპარსელთა რიცხვი, როგორც გვატყობინებენ, 63 კაცია. დაჭრილია თურმე 6, ერთიც რკინის გზის სადგურზე უნახავთ თავმოჭრილი.

✦ **ტფილისის გუბერნატორი** გენერალი სვეჩინი სამის კვირით რუსეთს მიდის.

✦ **ბაქოში 6—9 თებერვალს მომხდარ ამბების** გამოსაძიებლად უმაღლესმა მთავრობამ დანიშნა განსაკუთრებული კომისია სენატორის კუზმინსკის მეთაურობით.

✦ ორშაბათს, 28 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გორში განიხილავს საქმეს სოფელ ტირძნისის მცხოვრების ალექსანდრე ეგაძისას, რომელმაც **მოჰკლა ივანე სულხანიშვილი.** ეგაძეს იცავს ნაფიცი ვექილი თავ. ი. ბარათაშვილი.

✦ **ფინიკულერის ვაგონების** მიმოსვლა მამა დავითის გორაზე დაიწყება სამშაბათს, 1 მარტს.

✦ **ტყიბულიდან გვატყობინებენ:** 24 თებერვალს რკინის გზის ტყიბულის შტოს სერნიე-ვოდის სადგურზე ხუთასი მუშა სადგურთან შეიკრიბა. მუშებს უნდა მიეღოთ ნამუშევარი. როდესაც ფული მიიღეს, მუშები დაიშალნენ.

✦ 5 აპრილს სრულდება 25 წელიწადი, რაც სცენაზე გამოვიდა სომხთა არტისტი ქალი სირანუში. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ 23 თებერვალს დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებამ ამ არტისტ ქალის საიუბილეო დღესასწაულში.

✦ გუშინ, 25 თებერვალს, ტფილისის სასამართლო პალატის დარბაზში დანიშნული იყო წლიური კრება მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ კოლონიების და თავშესაფარის საზოგადოებისა. რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, კრება არ შესდგა და გადაიდო 12 მარტისათვის.

✦ ტფილისის მეორე მსროლელ ბატალიონის პორუჩიკმა სტეფანე ყურაშვილმა პოლიციის მე-9 ნაწილში განაცხადა, რომ 24 თებერვალს საღამოთი გარდაიცვალა ჩემი პატარა ქალი, 2½ წლისა, დედი ჩემიც ზინაიდა ყურაშვილის ცემისაგანაო. ზინაიდას პატარა ქალისათვის გაანჩხლების დროს ძლიერ დაურტყამს გამომძიებელი შეუდგა ამ საქმის გამოძიებას.

✦ 22 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, რაჭის მაზრის სოფ. სადმელის მცხოვრებს ევგენი თ. შარაშიძეს მიჰპარვია რაჭის მაზრის სოფელ შქმერის მცხოვრები ევთიმე რევაზის ძე ნაცვლიშვილი, ფულიანი ქისა ამოუცლია და გაქცეულა. დამნაშავეს გამოედგომიან და დაუჭერიათ.

✦ ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის აღმზრდელ ქალს ელისაბედ სპ. პაპანდოპულოს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში 22 თებერვალს ვიღაც უცნობი კაცი მიპარვია და ჯიბიდან ამოუცლია 50 მან.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში, თეატრის ქუჩაზე მდგომ მეეზოვეს იან იაკუბოვსკის 23 თებერვალს საღამოთი მაჰპარვია ვიღაც კაცი, რაღაც იარაღით იგი ოთხგან დაუჭრია და გაქცეულა. ყვირილზე უცნობს გამოედევნენ, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგეს, საით გაუძვრა ხელიდან.

✦ 28 თებერვლისთვის კავკასიის საბებიო ინსტიტუტის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ბებია ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს წლიური ანგარიში, სავარაუდო აღრიცხვა და დასასრულ უნდა მოხდეს არჩევნები მოხელე პირთა.

✦ სად. კარაკლისი. 24 თებერვალს, შუადღის 11 საათსა და 35 წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 76 დაიძრა, ნახეს გასრესილი გვამი მომუშავე დიმიტრი გოგიშვილისა.

✦ 25 თებერვალს ფიშერისთვის, როდესაც იგი ტფილისის სამუსიკო საზოგადოების დარბაზიდან გამოდიოდა, ვიღაცას გალსტუკიდან ქინძისთავი აუცლია და გაქცეულა. ქინძისთავს ბრილიანტის რამდენიმე ქვა ჰქონია, 150 მან. ღირებული.

✦ 23 თებერვალს შუა ბაზარში ტფილისის მცხოვრები დიმიტრი ოქროაშვილი მიეპარა ახლოს მდგომს თედორე მილუნკოვს და ის იყო ჯიბიდან უნდა ფული ამოეცალა, რომ შეუტყეს, გამოეწივნენ, დაიჭირეს და პოლიციას გადასცეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 25 თებერვალს. ბრძოლის ველზე მოჰკლეს სამარის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი მაყაშვილი.

პეტერბურგი. სამეცნიერო აკადემიამ გაგზავნა სამეცნიერო აზრით გურია-სამეგრელოში ლეიპციგიდან ახლად მოსული ბ. დუმბაძე.

ბათუმი, 25 თებერვალი. რუსეთის სანაოსნო საზოგადოებამ დააკმაყოფილა ზოგიერთი მოთხოვნილება მუშებისა და მოსამსახურეებისა. როგორც ამბობენ, ამ დღეებში მუშები სამუშაოდ გამოვლენ და გემების დატვირთვა-გადატვირთვა დაიწყება.

რუსეთის ქრონიკა

ახირებული პატრიოტები. 15 თებერვალს მოსკოვში პირველ გიმნაზიის შენობის პირდაპირ როტონდაში ჩაცმული ქალბატონი შეხვდა გიმნაზიელებისა და სტუდენტების ჯგუფს და მაშინვე მრისხანედ მიჰმართა—„მოღალატენო! გამცემელნო! სულ თქვენი ბრალია, რაც უწესოება ხდება... ყველა ჩამოსახრჩობი ხართ“. ერთი სტუდენტი, სხვაზე უფრო გულმოსული ასეთის ლანძღვით, მივიდა გაბრაზებულ ქალბატონთან და პოლიციაში წასვლა მოსთხოვა ოქმის შესადგენად. ქალბატონმა ეს იწყინა და ისე მაგრად ჰკრა ხელი სტუდენტს, რომ წააქცია. საქმეში ჩაერივნენ სხვებიც... ქალბატონიც წაიქცა. და აღმოჩნდა ნამდვილი მამაკაცი იყო.

ეხლა ეს არის საკითხავი, აგენტი იყო ეს ვაჟბატონი, პროვოკატორი, გიჟი, თუ ახირებული პატრიოტი?

პოდოლსკში უფრო სხვა ჯიშის პატრიოტები აღმოჩენილან: ერთ ვაჭარსა და სასულიერო სემინარიის სტუდენტს სიფხიზლის საზოგადოების სახლში გაუმართავთ პატრიოტული მიტინგი, რასაკვირველია, პოლიციის ჩუმ დახმარებით; მიტინგის საგანი იყო ბრძოლა ინტელიგენციასთან, სტუდენტებთან და ერობასთან; ეს უკანასკნელი მეტად სძულს ახალ პარტიას, გადასახადი რად მიაქვსო. მიტინგმა დაადგინა—„მივლეწოთ გამგეობა! ვცემოთ ერობის მოღვაწეთ, სანამ სიცილს არ დაიწყებენო“. ეს დადგენილება მიტინგის თავმჯდომარემ გუბერნატორს შეატყობინა. („ბ. ვედ.“).

ამდროის სახალხო სკოლის დირექტორი. ოდესის გრადონაჩალნიკის „ვედომოსტებში“ გამოცხადებულია: „ხერსონის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა უვაროვმა უკანვე წაიღო თავისი სურვილი, რომ მისთვის მიეტანათ პოლიციური ცნობები მოსწავლეთა შესახებ, მას შემდეგ, რაც გრადონაჩალნიკმა აუხსნა, რომ პოლიციას არ შეუძლია ასეთი მინდობილობა მიიღოს თავის თავზეო.“

პოლიციელების მოთხოვნანი. ქ. რიგის პოლიციელები მივიდნენ პოლიცმეისტერთან (ოცამდე კაცი ყოფილა) 15 თებერვალს და ითხოვეს თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება; პოლიციელები თხოულობენ ჯამაგირის მომატებას, შვილების უფასო სწავლებას სკოლებში და სხვას... („ბირჟ. ვედ.“).

ფილანდიაში. „ფილანდიის გაზეთში“ დაბეჭდილია შემდეგი: „11 თებერვალს ჰელსინგფორსის სასამართლოში განიხილეს საქმე მეყდე სტენბერგისა, სტუდენტ ფონბორნისა, პოლიტეხნიკის ვალმანისა და სხვებისა, სულ 24 კაცისა, რომელთაც ბრალდებოდათ სარევოლიუციო ხასიათის უწესოებაში (11 და 12 იანვარს) მონაწილეობა. სასამართლოში გამოცხადდა მხოლოდ ორი ბრალდებული.

საბრალმდებლო ოქმში, სხვათა შორის, ნათქვამია: „როცა ეგრედ წოდებული პასიური წინააღმდეგობა უნაყოფო გამოდგა, 1903 წლის შემოდგომიდან სტუდენტების წრეებსა და სხვა პოლიტიკანებ შორის დაიწყეს ლაპარაკი აქტიურ მოქმედებაზე, სხვათა შორის, გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვის მოკვლაზედ. პირველად ახალმა სირევოლიუციო ტენდენციამ იჩინა თავი 1904 წლის 5 ივლისის მანიფესტაციების დროს: გაავრცელეს დიდძალი „მოწოდებანი“, რომელნიც წინდაწინვე იყო დამზადებული შვეციაში. პროლეტარიების კომიტეტის პროკლამაციებიდან სჩანს, რომ ფინლიანდიაში დიდი პროპაგანდა იყო, მსგავსი რუს-რევოლიუციონერების პროპაგანდისა; მიზანი ის იყო, რომ მუშებში ეშოვათ ტერორისტულ მოქმედების მომხრენი და მოემზადებინათ ნიადაგი რევოლიუციისათვის.

გასულ წლის 26 ნოემბერსა და 4 დეკემბერს ჰელსინგფორსში გაავრცელეს განცხადებანი, რომ ფინლანდიაში დაარსდა პარტია აქტიურ წინააღმდეგობისა. პირველ დეკემბერს საზღვარ-გარეთის გაზეთებში დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც აწერილი იყო რუსეთის რევოლიუციონერების კრება პარიზში; ეს კრება მოეწვია ფინლანდელებს. ამ კრების ანგარიში დაბეჭდილი იყო გაზეთ „ფრიაორდ“-ში და თან გამოქვეყნებული იყო იმათი სახელი და გვარი, ვისაც ხელი ეწერა რევოლიუციონერების კრების ოქმზე. ფინლანდელებიდან ხელი უწერია აქტიურ წინააღმდეგობის პარტიის სახელით კონნი ცილიაკუსს, რომელიც ამერიკაში იმყოფება.

ამ პარტიის საქმე იყო 11 და 12 იანვარს გამართული უწესოებანი მუშებისა. თანახმად პარიზის შეთანხმების პროგრამისა, ფინლანდელების პარტია მუშაობს, რომ ხელი შეუწყოს და მხარი მისცეს ბრძოლას არსებულ წესწყობილებისა და მთავრობის წინააღმდეგ“...

თეატრი

ქართული დრამა („რუი-ბლაზი“ დრ. ჰიუგოსი, თარგ. უ. ფიანისისა და კ. მესხისა. ბენეფისი კ. მესხისა, 24 თებერვალი). ეს ბენეფისი უკანასკნელი ქართული წარმოდგენა იყო ამ სეზონში, ალბად, ამიტომ იყო, რომ ისე დიდძალი საზოგადოება დაესწრო: თეატრი ძალზე გაჭედილი იყო, ბევრი უადგილობისა გამო შინ დაბრუნდა. გათავდა სეზონი, სამწუხაროდ, არა სანუგეშოდ ქართულის დრამისა და არტისტებისთვის. ქონებრივად წლევანდელი სეზონი საზარალო იყო. თეატრის გამგეთ ბევრი ახალი პიესა დადგეს, ხალხიც ბლომად დადიოდა, მაგრამ შემოსავლის დიდი ნაწილი ოპერის ანტრეპრენერს რჩებოდა. სამწუხარო უფრო ის იყო, რომ ქართულ წარმოდგენებისთვის რუსულ თეატრის გამგენი არაფერს არ იმეტებდნენ, არც დეკორაციებს, არც ტანისამოსს. რაც რამ ძველი და უვარგისი იყო, იმას აძლევდნენ მხოლოდ. ეს გარემოება ერთხელ კიდევ [illegible] ჰყოფს იმ ჭეშმარიტებას, რომ საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ იზრუნოს ეროვნულ თეატრისთვის. ქართულ დრამას უსათუოდ უნდა ჰქონდეს ხელოვნების საკუთარი ტაძარი, უამისოდ ჩვენი დრამატიული ხელოვნება წინ ვერ წავა.

ვიქტორ ჰიუგოს დრამა „რუი ბლაზი“ ხუთშაბათს პირველად წარმოადგინეს ქართულად. ამ დრამაში აწერილია თვით-მპყრობელ სახელმწიფოს დიდკაცობის და მოხელეების გარყვნილება, დაცემა, ანგარება. თითქმის ერთად-ერთი პატიოსანი და სინიდისიერი კაცი დრამაში უბრალო ადამიანია, ლაქია რუი-ბლაზი, და ეს პატიოსანი, გულწრფელი, ქვეყნის სიყვარულით გატაცებული ადამიანიც იღუპება დიდკაცთა გარყვნილების მეოხებით.

რაც შეეხება წარმოდგენას, ურიგო არ იყო იგი, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ არტისტებს დიდ ცოდვად არ ჩავუთვლით იმ ნაკლს, რომელიც მათ თამაშობას ახლავს, როდესაც მარკიზებს, გრაფებს და სხვა არისტოკრატებს ადგენენ. ძალიან მოეწონნენ საზოგადოებას და კარგადაც ჩაატარეს თავიანთი როლები მობენეფისემ კ. მესხმა, ქ-ნმა ჩხეიძემ და ბ-ნმა მესხიშვილმა.

საზოგადოებამ ტაშის ცემით და საჩუქრებით დააჯილდოვა მობენეფისე.

თელავი. 22 თებერვალს თელავის თეატრში ბ-ნ მ. ს. აჯიმამუდოვის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ქართულად „ახლანდელი სიყვარული“ თავ. აბაშიძისა და რუსულად „დათვი“ ჩეხოვისა. ბ-ნ აჯიმამუდოვს უხეირო დროს ერგო ბენეფისის გამართვა. წინა კვირაში ორი წარმოდგენა იყო ზედი-ზედ და ამ კვირაში ოთხია დანიშნული სხვა და სხვა გასართობელი. მართალია, ამისდა მიუხედავად და შეიძლება ითქვას, მოულოდნელად საკმაო ხალხი დაესწრო წარმოდგენას, მაგრამ მაინც მეტის ყურადღების ღირსია ბ-ნ აჯიმამუდოვი. სწორედ ეს პიესა თავადვე საბენეფისოდ იქნება ნათარგმნი, რადგან ერთი როლის მეტი არ არის შიგ. როლი მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ იგი თუმცა ერთად ერთია, მაინც ტიპს ვერა ხატავს სავსებით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი იყო, რამდენადაც შეიძლებოდა, კარგად. მობენეფისემ შეგნებულად ჩაატარა იაკობ სასტიკაძის როლი. სხვები ხელს უწყობდნენ. რუსულმა წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

ნადიკვრელი

წერილი რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ მე, ქვემორე ამ.სა ხელის მომწერელს არ მიახლებია თქვენის რედაქციისათვის და არც თქვენის თანამშრომელის ბ-ნ კალამისათვის ის ეგზემპლიარი გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების შესახებ ანგარიშისა, რომლიდანაც ამოწერილი ჰქონდა თქვენს თანამშრომელს ბ-ნ კალამს თქვენის გაზეთის № 2744-ში, სადაც უკანასკნელი ამხილებდა ბ-ნ თ. ჟორდანიას მის სათაკილო საქციელში. ამას იმიტომ გთხოვთ, რომ ბ-ნი თ. ჟორდანია მთელს იმერეთსა და სამეგრელოში თუ სიტყვიერად და თუ კერძო ბარათებით ავრცელებს იმ აზრს, ვითომ მე, მისდამი პირადის მტრობით გამსჭვალულს, მეშოვოს იგი ეგზემპლიარი რაღაცა ხრიკებით და თქვენთვის მეახლებიოს ბ-ნ თ. ჟორდანიაზე ჯავრის ამოსაყრელად. მე იგი ეგზემპლიარი ვითომც

იყო და ლუი მეთექვსმეტემ გადასწყვიტა ენერგიულის ქცევით დაეშინებია ხალხის წარმომადგენლები: დიდის ამბით მივიდა ეროვნულ კრების სხდომაზე, ვსპობ ყველა თქვენ დადგენილებასო, გამოაცხადა და ბრძანა—ეხლავ დაიშალეთ, თითეულ წოდების წარმომადგენელნი ცალკე შეიკრიბენით და იქ ითათბირეთო. სთქვა და წავიდა. წარჩინებული პირები მაშინვე დაემორჩილნენ მეფის ბ[illegible]ნებას; მესამე წოდების წარმომადგენლნი [illegible]ენ, არ იშლებოდნენ, მაგრამ ვერც რამე გ[illegible]წყვიტეს: არ უნდოდათ მეფის ბრძანების ა[illegible]ება, მაგრამ მეფე ჯერ კიდევ [illegible]რანგები შეჩვეული იყვნენ მის [illegible] მეფე იყო [illegible]ან ბრძანება მეტად სასტიკი [illegible] მორჩილებ[illegible]ად შეიძლებოდა, რომ მას სას[illegible]ის ხმარება მოჰყოლოდა. ეროვნულ [illegible]ეთ რუკვაში იყო, შემოვიდა მე[illegible]ვნილი კაცი, მაჰმართა კრების [illegible]ს ბაილის და უთხრა—ხომ გაიგონეთ ბრძანება და რაღას უცდითო! თავმ[illegible]ნ ვერ გასცა პირდაპირ პასუხი. მაგრამ [illegible]ამოდგა გრაფი მირაბო და თავის [illegible]ს ხმით უთხრა კარის კაცს: „წადით [illegible]თ თქვენს ბატონს, რომ ჩვენ აქ [illegible]ვართ ხალხის ნებით და მხოლოდ [illegible] თუ დაგვშლიანო“. მთელი კრება გაი[illegible]რაბოს ვაჟკაცურმა სიტყვამ და კარის [illegible] შერცხვენილი გაბრუნდა. ამის შემდეგ [illegible]დეპუტატმა სიესმა წარმოსთქვა აღუმ[illegible]ლის ხმით: „ბატონებო, დღეს ჩვენ [illegible]ვართ, რაც გუშინ ვიყავით, ამიტომ გან[illegible]თ ჩვენი თათბირი“-ო. კრება შეუდგა მუშაობას და, სხვათა შორის, დაადგინა: საერთო კრების წევრს ხელს ვერავინ ახლებს და ამ დადგენილების დამრღვევი სისხლის სამართალში მიეცემა, როგორც ხალხის მოღალატე.

მეფე? მოსალოდნელი იყო, რომ მართლა ხიშტების საშუალებით დაშლიდნენ კრებას, მაგრამ ეს არ მოხდა; პირიქით, ოთხის დღის შემდეგ მეფემ უბრძანა წარჩინებულების დეპუტატებს მონაწილეობა მიეღოთ ეროვნულ კრებაში. ლუი მეთექვსმეტე სუსტი და გაუბედავი ადამიანი იყო, ერთბაშად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა; თან მთავრობა არ იყო მომზადებული, რადგან არ მოელოდა ხალხის წარმომადგენლების ასეთ გაბედულებას. ამგვარად მეფე იძულებული შეიქნა აჰყოლოდა ეროვნულ კრების სურვილს.

ეროვნული კრება შეუდგა თავის მთავარ საქმეს ახალ სახელმწიფო წესწყობილების შემუშავებას: ჩვენ მონდობილი გვაქვს შევადგინოთ კონსტიტუცია, მანამ კი ერთი გროშიც არ უნდა მივცეთ მთავრობასო, ამბობდნენ დეპუტატები და ამ კონსტიტუციის შესადგენად რამდენიმე კომისია აირჩიეს. ჯერ უნდა გამოირკვეს ხალხის უფლებანი, შემდეგ მეფისა; უნდა გამოცხადდეს, რა უფლება უნდა ჰქონდეს ადამიანს და მამულისშვილს და რა დედა-აზრი, პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად სამეფოს ახალ კონსტიტუციასო, აი რაზედ თათბირობდნენ და მსჯელობდნენ უშიშრად და გაბედულად ხალხის წარმომადგენლები.

მთავრობა კი ამ დროს დაქირავებულ ჯარებს უყრიდა თავს პარიზის ახლო, რომ ერთბაშად დაეხურა ეროვნული კრება და მოესპო მთელი საქმე, ასეთის იმედებით დაწყებული ხალხისაგან. კრება მიხვდა მთავრობის განზრახვას და მოსთხოვა მეფეს ჯარის წაყვანა; მეფემ არა თუ უარი უთხრა ხალხის წარმომადგენლებს, სულ ძველ წეს-წყობილების მომხრე მინისტრები დანიშნა. კრება არ შეშინებულა და მაშინვე დაადგინა: „მინისტრები, სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირები, რა ხარისხისა და მდგომარეობისაც არ უნდა იყვნენ, პასუხს აგებენ კანონის წინაშე, თუ ერის უფლებანი ან საერთო კრების დადგენილებანი დაარღვიეს რითიმე“.

აქამდე ფარული ომი ეხლა აშკარა შეიქნა: ერთის მხრივ იდგნენ მეფე და წარჩინებულები, მეორე მხრივ, ხალხის წარმომადგენელი ეროვნული კრება. ფიზიკური, მატერიალური ძალა (ჯარები) და უფლება, წარსული და მომავალი პირისპირ იდგნენ და, ანგარიშით, ბრძოლიდან მეფე უნდა გამოსულიყო გამარჯვებული, ჯარი, სამხედრო ძალა მეფის ხელთ იყო და რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია საერთო კრებას? უფრო გავლენიან დეპუტატებს დაატუსაღებდნენ, დანარჩენებს თავ-თავიანთ სახლში გაგზავნიდნენ და ამ ხელად საქმეც გათავდებოდა. მართალია, ასეთი ძალმომრეობა დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა საფრანგეთში და ვერც ხაზინა იშოვიდა ამით საჭირო ფულს, ისიც მართალია, რომ მეფე ბოლოს იძულებული იქნებოდა ისევ მოეწვია ეროვნული კრება; მაგრამ მანამდე კი ისევ ძველი წესი იმოქმედებდა და რევოლიუციაც გადაიდებოდა.

რას უნდა ეშველა საერთო კრებისათვის? სასწაული უნდა მომხდარიყო და საერთო კრებასაც ჯარი ეშოვნა მეფის ჯარის წინააღმდეგ. და სწორედ ასეთი სასწაული მოხდა.

მთელი პარიზი აღსდგა და შეიარაღდა საერთო კრების დასაცველად; პარიზი სამხედრო ბანაკს დაემზგავსა. აჯანყებულ ხალხის რისხვა პირველად ძველისა ბასტილიისაკენ მიიმართა: ბასტილია, საზარელი საპატიმრო, ცხადი და ყველასათვის თვალსაჩინო ნიშანი იყო ძველის წესწყობილების საშინელებისა და ხალხმაც პირველად ეს საპატიმრო აიღო და მიწასთან გაასწორა (14 ივლისი).

პარიზელების აჯანყებას და ბასტილიის აღებას მოჰყვა დიდი ცვლილება საქალაქო მმართველობაში; პარიზის მაგალითით, ხალხმა ყველგან აირჩია ახალი წარმომადგენლები და ახალი მოურავები, ყველგან დააწესეს ეროვნული გვარდიები ხალხის უფლების დასაცველად; ქალაქს სოფელი მოჰყვა და მთელი საფრანგეთი მოიფინა თვით-მმართველ თემებით, კომუნებით და ეროვნულ გვარდიებით; ქალაქი და სოფელი მზად იყო ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე განთავისუფლებისათვის და ეროვნული კრება, გუშინ რომ შიში იყო თავის არსებობისათვის, ღირსებით, მაგრამ თან მწუხარეს კილოთი ლაპარაკობდა, დღეს იგი ნამდვილი მეუფეა, სუვერენია და შესაფერისადაც იქცევა.

14 ივლისი, ბასტილიის აღების დღე, შესანიშნავი მომენტია საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიაში; ამ დღეს განმტკიცდა საბოლოოდ ახალი ცხოვრება, ამ დღიდან იწყება ხალხის მეუფება, სუვერენიტეტი სახელმწიფოში.

ხალხის გატაცებამ გაიტაცა საერთო კრებაც და 4 აგვისტოს ღამეს, ერთ სხდომაზე ერთიანად მოსპეს მთელი ნაშთი ძველ ფეოდალურ წესწყობილებისა: თავად-აზნაურობამ უარი სთქვა ყველა თავის უპირატესობაზე და სამღვდელოებამ ათის თავზე—შეიქნა ნიადაგი პოლიტიკურ თანასწორობისა. დაუვიწყარია 4 აგვისტოს ღამე, მაგრამ 14 ივლისი უფრო ახსოვს ხალხს და ეს დღე ეროვნული დღესასწაულია დღესაც მთელის საფრანგეთისათვის.

მეფე დამორჩილდა ხალხის ნებას, რადგან სხვა გზა არ იყო, და ხალხის წარმომადგენლებმა სიხარულით მიიღეს მეფის ეს მორჩილება. როცა ამ ამბების შემდეგ დამარცხებული მეფე მოვიდა ეროვნულ კრებაზე, წარმომადგენლები ცივად დახვდნენ; მაგრამ როცა მეფემ სთქვა—„ჩემის ხალხის წარმომადგენელნო, თქვენთვის მომინდვია ჩემი თავი“-ო, მთელი კრება აღტაცებაში მოვიდა და სავსებით შეურიგდა მეფეს, იმდენად ძლიერი იყო ჯერ კიდევ ხალხში მეფობის პატივისცემა. აქედან მაინც რომ გულწრფელად მიმხრობოდა ლუი მეთექვსმეტე ხალხის საქმეს, შესაძლებელია რევოლიუციას არ ჰქონებოდა ისეთი ტრაღიკული ხასიათი. მაგრამ ვერც მეფემ და ვერც მისმა ახლობლებმა ჭკუა ვერ ისწავლეს, კიდევ ჰქონდათ იმედი ძველის წესის დაბრუნებისა და ხალხის მოტყუებისა. საბედნიეროდ, ეს იმედი არა თუ გაუცრუვდათ, სასტიკადაც დაისაჯნენ ხალხის ღალატისათვის.

ყალბის ანგარიშისა, როგორც თვით ბ-ნი თ. ჟორდანია ამტკიცებს, არ გამომიგზავნია არც თქვენთვის და არც არავისათვის. არც ვსაჭიროებდი ამაში, რადგან ბ-ნ თ. ჟორდანიას გამცემლობის საბუთად მე, თქვენს უმორჩილეს მონას, იგი ანგარიში-კი არა, სხვა ნომრებდასმული და თვით თ. ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი ურიცხვი ქაღალდები მაქვს ხელთ, და თუ ეს ქაღალდები ამ ორის წლის წინად არ გამოქვეყნდა, ამისათვის დაუმადლოს ბ-ნმა თ. ჟორდანიამ გაზ. „ივერიის“ მაშინდელ გამგეს, ბ-ნ გ. ყიფშიძეს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ მე იძულებული ვარ მოვუცადო თვით ბ-ნ ჟორდანიას გამამართლებელს, უტყუარ საბუთებზე დამყარებულ პასუხს, რომელსაც იგი საქვეყნოდ დაჰპირდა მთელ ქართველ საზოგადოებას იმ ცნობილ მის მანიფესტში, რომელიც დაიბეჭდა 12 ოქტომბრის 1903 წ. გაზ. „ივერიის“ № 218-ში. ახლაც მოუთმენლად ველი ბ-ნ ჟორდანიას პასუხს, რომელიც დეპეშით აუთქვა თქვენს გაზეთს. *)

დავშთები თქვენი მორჩილი **ი. ფანცხავა,**

* * *

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

24 თებერვალი

პეტერბურგი, 24 თებერვალი. ოფიციალური. სამეურნეო საბჭოს სესიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქმნა, ფეხზე დგომით, ხელმწიფე იმპერატორის სიტყვები: **„გულითად მადლობას ვუცხადებ ყველას“**; ეს სიტყვები იყო პასუხი ხსენებულ საბჭოს უქვეშევრდომილესი გრძნობების გამოცხადებაზე; შემდეგ საბჭომ განიხილა ჟურნალები ოთხი კერძო რჩევისა, რომლებიც შეეხებოდა იმას, რომ მთავრობისაგან წევრების დანიშვნის მაგიერ დაწესებულ იქმნას საბჭოს წევრების ამორჩევითი სისტემა; სესიაში გარდასწყდა, სასურველია, რომ რუსეთის სამხრეთ გუბერნიების უმეტესობამ გაგზავნოს წარმომადგენლები თვითეული გუბერნიიდან, დანარჩენი გუბერნიები კი შეერთებულ იქმნან ჯგუფებად. პირველთ რიცხვში 21 გუბერნიაა დანიშნული, დანარჩენები-კი 14 ჯგუფადაა შეერთებული, რომელთაგან ვისლის პირის ჯგუფმა უნდა გაგზავნოს ორი წარმომადგენელი. ამ ოცდა თექვსმეტს წარმომადგენლებს მიემატა კიდევ შვიდი წარმომადგენელი სამეურნეო საზოგადოებათა ერთი კავკასიიდგან. წარმომადგენლები უნდა ამოირჩიოს საგუბერნიო საერთო საკრებულომ ისეთ პირთაგან, რომელთაც საერთო ცენზი აქვსთ. წარმომადგენლები სამის წლით ირჩევიან. ყოველ წლობით წარმომადგენელთა სამი ჯგუფი ეცვლება ერთი მეორეს. მუდმივ ბიუროს საბჭოს 5-დან 7 წევრამდე შეადგენს.

ასტრახანი, 24 თებერ. გაზეთები გამოვიდა.

პარიჟი. (ჰავასი), პალატაში, ბიუჯეტის შესახებ კამათის დროს, ბოდრი დ'ასსონმა წაიკითხა განცხადება, რომლითაც პროტესტი გამოაცხადა მთავრობის ანტი-კლერიკალურსა და ანტი-ნაციონალურ პოლიტიკის წინააღმდეგ. განცხადებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია. ბოდრი დ'ასსონი მივიდა, წაკითხვის შემდეგ, თავის ადგილს და გული წაუვიდა. იგი მოსამსახურეებმა გაიყვანეს. ბიუჯეტი 488 ხმით 47-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა.

სტამბოლი. სინოდის ოპოზიციონურმა წევრებმა წარუდგინეს სარწმუნოებათა მინისტრს ახალი პირობანი პატრიარქის შესარიგებლად; ეს პირობანი უკუგდებულ იქნა დღეს პატრიარქთა საბჭოში. ავსტრიის სალონიკელ ესკადრის კომანდირი იქნება სულთანთან აუდიენციაზე 7 მარტის შემდეგ.

ხარკოვი. პოლიციის დახმარებით შეიპყრეს ყალბი ქაღალდის ფულის მჭრელთა ბრბო. პოლიცია იმ დროს მივიდა, როცა ბრბოს სამი წევრი ფულებს აკეთებდა.

კიშინევი. 25 თებერვალს ბესარაბიის გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდება ექიმთა და ერობაში მომუშავეთა სიეზდი ხოლერის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

ხარკოვი. თავად სვიატოპოლკ-მირსკის ექიმი ატყობინებს „ხარკოვის ფურც.“-ს, რომ თავადს, კიევკაში მოსვლის შემდეგ, უვარგისობა არ ემჩნევდათ.

კიევი. უნივერსიტეტის პროფესორთა კომისიამ ერთხმად განაცხადა პროტესტი მალორუსიულ ენის შეზღუდვითი ზომების შესახებ. შაქრის ქარხნების პატრონთა კრებაზე დაადგინეს, გაგზავნონ ფინანსთა მინისტრთან თხოვნა, რათა მან მოახსენოს ხელმწიფეს მათი სიხარული და მადლობა იმ მოწყალებისათვის, რომელიც 18 თებერვლის რესკრიპტით იყო ნაუწყები.

კოვნო. ჩვენი მხრის მთავარ უფროსის განკარგულებით მოწერილობა გაიგზავნა ვისთანაც ჯერ არს, რომ ქალაქებისა და დაბების თვითეული სახელოსნო და სამრეწველო დაწესებულების შენობაში ვილნოსა, კოვნოსა და გროდნოს გუბერნიებში გამოჭკიდონ უფროსებისაგან დადგენილი გაწესრიგება სამუშაო დროსი, აგრეთვე მუშაობის თვითოეულ შეწყვეტის გათავების და დაწყების წესი; სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს ათს საათს.

პეტრო-პავლოვსკი. რადგანაც სადგურ პეტრო-პავლოვსკზე უარს ამბობენ უფის იქით გასაგზავნი ტვირთის მიღებაზე, ამიტომ უცხოეთის მყიდველები აღარ იღებენ ნასყიდ საქონელს.

პეტერბურგი. გაზეთ „საღამოს ფოსტა“-ს გამოეცხადა პირველი გაფრთხილება საცენზურო დებულების მე-144 მუხ. ძალით და აიკრძალა ცალკე ნომრების გაყიდვა ცუდი მიმართულებისათვის. საელჩოს მრჩეველი ვენაში ბარონი ბუდბერგი დანიშნულ იქნა ელჩად სტოკჰოლმში.

ქრისტიანია. ახალ სამინისტროს შეადგენენ: მინისტრ-პრეზიდენტი მიხელსონი, ყოფილი მინისტრი ლევლანდი, გენ. ოლსენი, კომერსანტი ლემპკე და ყოფილი მინისტრი ბენიამინ ფოხტი. მინისტრები: ვედელსენი, გუპნარი, კნუდსენი, მიხელსონი—ლიბერალებია; ლევლანდი, არკტანდერ ვედელსენი, კნუდსენი—მემარცხნენი; ოლსენი, ლენკუმი, ფოხტი, ბული—მემარჯვენენი და ვინიე—ზომიერების მიმდევარი.

ვარშავა. საღამოს ექვს საათზე ვიღაც მუშამ მძიმედ დასჭრა ყელზე ქუჩაში ბოქაული რასტეგაევი. ბოქაულმა ორჯელ ესროლა მაგრამ ააცდინა. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

სოხუმი, 24 თებერ. დილის 11 საათზე ვიღაც ორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ექვსჯერ ესროლა რევოლვერი ოლქის უფროსს პოლკოვნიკ პრორულბიცკის, რომელიც ფოსტიდგან ბრუნდებოდა, მაგრამ ვერ მოახვედრეს და მიიმალნენ.

სოფია: მთავრობამ მოწერილობა გაუგზავნა ბოლგარეთის წარმომადგენელთ საზღვარგარეთ და მისწერა: აცნობეთ უცხოეთის მთავრობებს, რომ პორტასაგან გავრცელებული ბრალდება ბულგარეთის კაბინეტზე, ვითომც უკანასკნელი მაკედონიის რაზმებს შველოდეს, ყოველივე საბუთს მოკლებულია. პირ-იქით მთავრობა დარბაისლურად ექცევა მაკედონიას და რამდენიმე ზომებიც იხმარა საზღვრების დასაცველად. სარწმუნო წყაროები უარს ამბობენ სტამბოლიდგან მოსულ ამბებზე, ვითომც მაკედონიის კომიტეტები დიდს საქმეებს აპირობდენ, თუმცა-კი ძლიერი მოძრაობა ეტყობათ სარაფოვის და ცონჩევის რაზმებს. მაკედონიაში ფიქრობენ, რომ დიდს აჯანყებას არ უნდა ველოდეთო:

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 თებერვალი

ტოკიო. პორტ-არტურიდან დაბრუნებული აფიცერი ამბობს, რომ რუსის 4 ჯავშნიანი გემი და ორი კრეისერი შეიძლება აგვისტოში ამოიღონ წყლიდანო.

სეული. რუსების რაზმები, რომელნიც ჩრდილოეთ კორეაში იდგნენ, ცოტ-ცოტათი ვლადივასტოკისაკენ იწევენ.

ლონდონი. გაზეთები ოფიციალურ ცნობას გადმოგვცემენ, რომ ბალტიის ესკადრის ყველა გემები დაბრუნდებიან ლამანშში და ახალ ბრძანებამდე იქ დარჩებიანო.

ჰამბურგი. რუსეთიდგან დაქირავებული 14 გემი ისევ ჰამბურგის ნავთსადგურში რჩება ჯერ.

კრემენჩუგი. აწყობენ ექვს მოძრავ გოსპიტალს მანჯურიის ჯარისთვის.

პეტერბურგი. ბარონ ფედორ ბუდბერგს ებრძანა იყოს საგანგებო ელჩად და მინდობილებათა მინისტრად შვეციისა და ნორვეგიის მეფის სასახლეში.

ზაგრები. ხორვატების დეპუტატები აცხადებენ, თუ ჯარებში უნგრეთის ენა შემოიღეს, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ხორვატების პოლკებში სამშობლო ენაზე უკამანდრონო.

პეტერბურგი. პოლონეთში სკოლის საქმის მოსაწყობად ამორჩეული დეპუტაცია გუშინ მიიღო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ. გრაფმა ტიშკევიჩმა მოახსენა შუამდგომლობა; საქმის ვითარება გააცნეს კიევსკიმ, ხრჟანოვსკიმ და პარვევსკიმ. თავმჯდომარემ მიიღო წერილობითი მოხსენება. —არიგებენ ე. გ. ბოგდანოვიჩის ახალ გამოცემას, სადაც მოსკოვის ავად-აზნაურთა და კოსტრომის კლეხების ადრესია და აგრეთვე მოწოდება მ. იოანე კრონშტადტელისა მანჯურიის ჯარებთან. ბროშურას დართული აქვს ხელმწიფე იმპერატორისა და მემკვიდრე ცესარევიჩის სურათები.

პეტერბურგის ბირჟა 22 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,7½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,63
ბირჟის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	89⅞
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86⅛
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	394
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	325
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
4% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

---

*) ზემოდ დასახელებული ანგარიში ბ-ნ ფანცხავასაგან არ არის მიღებული. რედ.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზისმა ცარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ (7 ს. 18 წ.).

* * *

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში· ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, -სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისი. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ· გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—2).

ნამდვილი კახური

ღვინოები

ივანე ლ.—ძე და იოსებ ზ.—ძე პაატაშვილებისა ბოთლი 15 კაპ., ვედრო 2 მ. 20 კაპ. და ძვირიც. ვაჭრობენ სასტუმრო „გრანდ-ოტელის“ ქვეშ, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. (2—66—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 28 თებერვლისთვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ალექსანდრეს ბაღის ქვემოთა ნაწილში. უნდა აშენდეს ამ ადგილას ფარდული.

პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში 10-დან 2 ს. (2—6—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ რადგან ქალაქში **ძალიან გახშირდა წითელა,** ქალაქის საავადმყოფოს (ავლაბარი, ნავთ-ტროიცის სოფელი) ერთი ბარაკი დაეთმობა წითელით ავადმყოფებს. (4—6—1)

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი

გ. ი. კურცხალიასი

კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა დემიდენი[illegible] პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ დი[illegible]ბისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშა საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

90—10)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ამ ბოლო დროს ბაზარზე იყიდება მოლაპარაკე მანქანები სხვა-და-სხვა ნაირი, რომელსაც გამკეთებლები ეძახიან „ტონარმამის და ამით ჰბაძავენ ჩვენ მიერ გამოგონილ და გასასყიდად გატანილ გრამოფონებს, რომელსაც **„ტონარმი“** ჰქვიან.

რადგან რუსეთის იმპერიის კანონებით სახელის მითვისება კონტრაფაქციად არ ითვლება, ამიტომ იურიდიული უფლება არა გვაქვს, ავუკრძალოთ ვისმეს ამ სახელის ხმარება.

ამისდა მიუხედავად, საყვედურის თავიდან ასაცილებლად, მოვალედ ვრაცხთ ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ერთად-ერთი **„ტონარმები“** საუკეთესო თვისებისა ის არის, რომელსაც ჩვენი ფირმა ამზადებს, ამასთან ყველა ჩვენ აპარატს აქვს ჩვენის ქარხნის დაღი.

„მწერალი ანგელოზი“.

საქციო ს-ება გრამოფონი

ტფილისის განყოფილება.

(3—2)

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიას.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—ზ.—34) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ„

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 3 მარტისათვის დანიშნულია სიტყვიერი **საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც მსურველმა იჯარით უნდა აიღოს ცხენებისა და ობოზის მიწოდების საქმე. ეს ცხენები და ობოზი საჭიროა ქალაქის ქუჩების მოსარწყავად და დასაწმენდად. მიიღება აგრეთვე წერილობითი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებში კვიტანციით, რომ ქალაქის კასსაში შეტანილია ბეი 500 მანეთი. ასეთი განცხადება უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს 3 მარტისა, ნაშუადღევის პირველ საათამდე.

პირობების გასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, უქმეებს გარდა, 11-დან 3 საათამდე. (3—6.—2)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ჯიშისა, საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი. ისყიდება ზომიერ ფასებში, ფ. ი. ავსარქისოვის მამულში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ევზავნებათ. ადრესი: სადგური სკრა, (ამიერ-კავკას. რკინის გზა). ფ. ი. ავსარქისოვს. (5—70—1)

«ივ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი, ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	[illegible]	[illegible]
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	40
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	60
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	20
სიბრძნე ბალავარისა	—	55
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	30
დვინის დაყენება, პროფ. ვ. [illegible]აშვილისა	—	10
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	1	50
დასტურ-ლამა	—	80
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერის.	—	25
ეხნთი რაფფისა, თარგ. სომხ[illegible] ევანგულოვისა	—	20
[illegible]	—	1

ცინკოგრ[illegible]

წიგნებ გამომც. ქართვე[illegible] [illegible] ბა-

ვანქის დიდი ქ., № 27 [illegible] ი, ის

კლიშეების გაკეთება [illegible] ს წო-

გრაფიულ სურათებიდან [illegible] ნ.

ბიდან.